CRRC-საქართველო

ანტიდასავლური რიტორიკა „ფეისბუქში“

სექტემბერი, 2025

ანტიდასავლური რიტორიკა „ფეისბუქში“

სექტემბერი, 2025

ანგარიში მომზადდა პროექტის „ანტიდემოკრატიული პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლა ჩართულობის გზით“ ფარგლებში, რომელიც CRRC–საქართველოს მიერ შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida) მხარდაჭერით განხორციელდა. მასში გადმოცემული ინფორმაცია ეყრდნობა CRRC–საქართველოს კვლევის შედეგებს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida) პოზიციას.

სარჩევი

მოკლე შეჯამება 5

შესავალი 7

კონტექსტი 7

ძირითადი ნარატივები 10

2024 წლის 29 ნოემბრიდან 2025 წლის 31 იანვრამდე პერიოდი 10

2025 წლის თებერვლის პერიოდი 13

2025 წლის 1 მარტიდან 31 მაისამდე პერიოდი 14

ძირითადი ნარატივები აზერბაიჯანულენოვანი აუდიტორიისთვის 17

ძირითადი ნარატივები სომხურენოვანი აუდიტორიისთვის 19

ძირითადი აქტორები 22

აზერბაიჯანულენოვან პოსტებში წარმოჩენილი აქტორები 26

სომხურენოვან პოსტებში წარმოჩენილი აქტორები 28

ძირითადი გამავრცელებლები (პოსტის ავტორები და გამზიარებლები) 29

ძირითადი გამავრცელებლები აზერბაიჯანულენოვან პოსტებში 32

ძირითადი გამავრცელებლები სომხურენოვან პოსტებში 32

ანტიდასავლური რიტორიკის ბუნება 32

დასკვნა 36

დანართი 1: მეთოდოლოგია 40

დიაგრამების ჩამონათვალი

დიაგრამა 1: ანტიდასავლური ნარატივები 2024 წლის 29 ნოემბრიდან 8 დეკემბრამდე პერიოდში 11

დიაგრამა 2: ანტიდასავლური ნარატივები 2025 წლის 15–დან 31 იანვრამდე პერიოდში 12

დიაგრამა 3: ანტიდასავლური ნარატივები 2025 წლის 1–დან 28 თებერვლამდე პერიოდში 14

დიაგრამა 4: ანტიდასავლური ნარატივები 2025 წლის 1 მარტიდან 31 მაისამდე პერიოდში 15

დიაგრამა 5: ანტიდასავლური ნარატივები 2024 წლის 29 ნოემბრიდან 2025 წლის 31 მაისამდე პერიოდში 17

დიაგრამა 6: ანტიდასავლური ნარატივები 2024 წლის 29 ნოემბრიდან 2025 წლის 31 მაისამდე პერიოდში – აზერბაიჯანულენოვანი სეგმენტი 18

დიაგრამა 7: ანტიდასავლური ნარატივები 2024 წლის 29 ნოემბრიდან 2025 წლის 31 მაისამდე პერიოდში – სომხურენოვანი სეგმენტი 20

დიაგრამა 8: პოსტებში წარმოჩენილი აქტორები მათი წარმოჩენის ტონის მიხედვით 23

დიაგრამა 9: პოსტებში წარმოჩენილი აქტორები მათი წარმოჩენის ტონის მიხედვით, მხოლოდ ქართულენოვანი სეგმენტი (აჭარის გარდა) 24

დიაგრამა 10: პოსტებში წარმოჩენილი აქტორები მათი წარმოჩენის ტონის მიხედვით, აზერბაიჯანულენოვანი სეგმენტი 27

დიაგრამა 11: პოსტებში წარმოჩენილი აქტორები მათი წარმოჩენის ტონის მიხედვით, სომხურენოვანი სეგმენტი 28

დიაგრამა 12: არის თუ არა პოსტში აშკარად ყალბი ინფორმაცია? 33

მოკლე შეჯამება

ეს ანგარიში წარმოადგენს შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) მიერ დაფინანსებული პროექტის „ანტიდემოკრატიული პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლა ჩართულობის გზით“ ნაწილს, რომლის ფარგლებშიც CRRC–საქართველომ სოციალურ ქსელ „ფეისბუქზე“ შერჩეული გვერდებისა და ჯგუფები მონიტორინგი განახორციელა. მოცემული ანგარიშისთვის მონიტორინგის პერიოდია 2024 წლის 29 ნოემბერი – 2025 წლის 31 მაისი. თუმცა, მონიტორინგი 2025 წლის ნოემბრამდე გაგრძელდება. შერჩეულ 16 გვერდსა და ჯგუფზე სიღრმისეულად გაანალიზებულია 2,261 პოსტი. შერჩეული „ფეისბუქ“ გვერდები და ჯგუფები მიმართულია როგორც ზოგად ქართულენოვან აუდიტორიაზე, ასევე სომხურენოვან და აზერბაიჯანულენოვან სეგმენტებზე.

მონიტორინგის მიზანია ძირითადი ანტიდასავლური ნარატივებისა და მათში ნახსენები პირების, ჯგუფების, ორგანიზაციებისა თუ ქვეყნების გამოვლენა, ანტიდასავლური გზავნილების ავტორებისა და გამავრცელებლების იდენტიფიცირება და ინფორმაციით მანიპულაციის ტექნიკების კვლევა.

ძირითადი მიგნებები:

- ანტიდასავლური გზავნილები სისტემატურად ვრცელდება და უკავშირდება მიმდინარე მოვლენებსა და შიდა თუ გარე პოლიტიკურ პროცესებს. განსაკუთრებით იმ მოვლენებს, რომლებიც ანტიდასავლური შინაარსის მთავარ მოქმედ პირებს, ან ისეთ სახელმწიფო გადაწყვეტილებებს უკავშირდება, რასაც შეიძლება, აუდიტორიისთვის გარკვეული წინასწარ განწყობის შექმნა ან მხარდაჭერის მოპოვება/შენარჩუნება სჭირდებოდეს.

- მონიტორინგის დაწყების პერიოდში მთავარი თემა პროევროპული საპროტესტო აქციები (ნოემბერი—დეკემბერი 2024) იყო, იანვარში ანტიდასავლური გზავნილები უფრო გლობალურ კონტექსტში გადავიდა, გაზაფხულზე კი ფოკუსი შიდა პოლიტიკასა და ოპოზიციის დისკრედიტაციაზე გაჩნდა.

- ყველაზე ხშირი ნარატივები უკავშირდება პროევროპული პროტესტისა და ოპოზიციის დისკრედიტაციას, მათ წარმოჩენას კრიმინალებად, უცხოეთის გავლენის აგენტებად ან დესტაბილიზაციის წყაროდ; ამავდროულად, „ქართული ოცნების“ ხელისუფლების წარმოდგენას ეროვნული სუვერენიტეტის დამცველად. ანტიდასავლური გზავნილები ასევე ეჭვქვეშ აყენებს დასავლეთის ლეგიტიმურობას და ხაზს უსვამს რუსეთთან და აღმოსავლეთ პარტნიორებთან თანამშრომლობის აუცილებლობას.

- ანტიდასავლურ კონტენტში მთავარ ფიგურებს წარმოადგენენ: „ქართული ოცნების“ ლიდერები, საპროტესტო მოძრაობის მონაწილეები, ოპოზიცია, სალომე ზურაბიშვილი, ევროკავშირი და აშშ (მათ შორის დონალდ ტრამპი). სომხურენოვან და აზერბაიჯანულენოვან სეგმენტებში ასევე უფრო ხშირად ახსენებენ რუსეთს, უკრაინასა და რეგიონულ ურთიერთობებს.

- ანტიდასავლური შინაარსის ძირითადი ავტორები და გამავრცელებლები არიან: პროსახელისუფლებო მედია, „ქართული ოცნების“ გვერდები და ჯგუფები, პოლიტიკური სატირის გვერდები, კონსერვატიული პლატფორმები, ჟურნალისტები, აქტივისტები და კოორდინირებული პირადი პროფილები.
- გაანალიზებულ პოსტებში აშკარად ყალბი ინფორმაცია იშვიათია, თუმცა, ხშირია ნახევრად სიმართლის შეთავაზება, კონტექსტის იგნორირება, ცალკეული შემთხვევის დიდ ჯგუფზე განზოგადება, სუბიექტური ინტერპრეტაცია, იარლიყების მიწებება და ამით ემოციური წინასწარგანწყობის შექმნა, სატირა და აუდიო–ვიზუალური მანიპულაცია.
- აზერბაიჯანულენოვან პოსტებში ანტიდასავლური გზავნილები ნაკლებად თვალსაჩინოა და ძირითადად გაჟღერებულია ზოგად საინფორმაციო კონტექსტში ოფიციალური განცხადებების – არამხოლოდ „ქართული ოცნების“ ხელისუფლების, არამედ აზერბაიჯანის პრეზიდენტის განცხადებების – სახით. აზერბაიჯანულენოვან პოსტებში განსაკუთრებით ხაზგასმულია საქართველოსა და აზერბაიჯანის ურთიერთობების მნიშვნელობა.
- სომხურენოვანი აუდიტორიისთვის გამიზნულ პოსტებში ძლიერია როგორც პროსახელისუფლებო („ფარვანა TV“), ასევე რუსული გავლენის („ჯავახური დიასპორა რუსეთში“) გამავრცელებელი ნარატივები, სადაც დასავლეთი ნაჩვენებია დესტაბილიზაციის წყაროდ, ხოლო რუსეთი – სუვერენიტეტის დამცველად.

მონიტორინგის შედეგები აჩვენებს, რომ საქართველოში ფეისბუქზე ანტიდასავლური ნარატივების გავრცელება მიზანმიმართულია და ეხმიანება ხელისუფლების პოლიტიკურ დღის წესრიგს, მათ შორის პროტესტის და ოპოზიციური აქტივიზმის დისკრედიტაციას.

შესავალი

შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტის „ანტიდემოკრატიული პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლა ჩართულობის გზით“ ფარგლებში CRRC–საქართველო ატარებს სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ მონიტორინგს. მონიტორინგის მიზანია:

- გამოავლინოს ძირითადი ანტიდასავლური ნარატივები, რაც სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ ვრცელდება,
- დააკვირდეს, ვისზეა ამ ნარატივებში საუბარი ყველაზე ხშირად,
- ვინ ავრცელებს ამ ნარატივებს და
- როგორია ანტიდასავლური ნარატივების შემცველ პოსტებში ინფორმაციით მანიპულაციის ტექნიკები.

მონიტორინგი მოიცავს 16 „ფეისბუქ“ გვერდსა და ჯგუფს, რომელთა ნაწილი ფოკუსირებულია აჭარის რეგიონზე, ასევე, ქვეყნის სომხურენოვან და აზერბაიჯანულენოვან მოსახლეობაზე.[1]

მონიტორინგის პერიოდი იწყება 2024 წლის 29 ნოემბრით, პრემიერმინისტრის იმ განცხადების მომდევნო დღით, რომელიც საზოგადოების დიდმა ნაწილმა საქართველოს ევროინტეგრაციის შეჩერებად აღიქვა და რასაც მასობრივი საპროტესტო ტალღა მოჰყვა. მონიტორინგი გეგმავს „ფესიბუქში“ ანტიდასავლური ნარატივების შესწავლას ერთი წლის განმავლობაში, 2025 წლის 29 ნოემბრამდე.

მოცემული ანგარიში მოიცავს 2024 წლის 29 ნოემბრიდან 2025 წლის მაისის ბოლომდე პერიოდს და ეფუძნება 2,261 სიღრმისეულად გაანალიზებულ პოსტს.[2] ამ პერიოდის მონაცემები თავმოყრილია ვებგვერდზე dash.crrc.ge, სადაც შესაძლებელია ანტიდასავლური პოსტების დინამიკის, ძირითადი ნარატივების, თემებისა და აქტორების შესახებ მონაცემების გაანალიზება.

კონტექსტი

2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, რომელსაც სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა, ოპოზიციამ და სამოქალაქო საზოგადოებამ უნდობლობა გამოუცხადა, ქვეყნის პრემიერმინისტრმა 28 ნოემბერს განაცხადა, რომ საქართველო 2028 წლამდე დღის წესრიგში აღარ დააყენებს ევროკავშირთან გაწევრიანების მოლაპარაკებებს. ამ განცხადებას საზოგადოებაში მყისიერი პროტესტი მოჰყვა და იმავე საღამოდან დაიწყო გრძელვადიანი პროდასავლური პროტესტი, რომელიც ათი თვის თავზე უწყვეტად გრძელდება. პროტესტის პირველ კვირებში ხელისუფლების მხრიდან ძალის გამოყენებით ხდებოდა აქციის დაშლა და სამართალდამცავები ასობით მომიტინგეს ფიზიკურად გაუსწორდნენ. ძალადობის რამდენიმე შემთხვევა ჟურნალისტების მიმართაც დაფიქსირდა.

[1] გვერდების/ჯგუფების ჩამონათვალი იხილეთ მეთოდოლოგიის დეტალურ აღწერაში, დანართში.

[2] კვლევის მეთოდოლოგია დეტალურად აღწერილია დანართში.

პარლამენტმა, რომელიც, ოპოზიციის ბოიკოტის გამო, მხოლოდ „ქართული ოცნების“ წევრებით შეივსო და რომელსაც საერთაშორისო საზოგადოების საყოველთაო აღიარება არ მოჰყოლია, მიიღო რიგი კანონებისა, რაც ამკაცრებდა ჯარიმებს ქუჩის გადაკეტვის, სახის შენიღბვისა და პიროტექნიკის გამოყენებისთვის. ამას მოჰყვა პროტესტის მონაწილეთა ინტენსიური დაჯარიმება და დაკავებები, რომელთა ნაწილი არა ადმინისტრაციული, არამედ სისხლის სამართლის წესით მოხდა. ათობით პროტესტის მონაწილე დღემდე დაკავებულია, მათ ნაწილს ხუთ წლამდე ან ორი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. აქციების მხოლოდ ორი მონაწილე გაათავისუფლეს სათანადო მტკიცებულებების არქონის მოტივით და ერთი უდანაშაულოდ ცნეს. ერთ–ერთი ყველაზე გახმაურებული შემთხვევა იყო მედია საშუალება „ბათუმელებისა“ და „ნეტგაზეთის“ დამფუძნებლისა და მენეჯერის, მზია ამაღლობელის, დაკავება, რომელიც 2025 წლის იანვრის დასაწყისში მოხდა. მზია ამაღლობელი ჯერ ადმინისტრაციული წესით დააკავეს, შემდეგ – სისხლის სამართლის წესით და პოლიციელისთვის სილის გაწვნის გამო 4–დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა. 2025 წლის 6 აგვისტოს მზია ამაღლობელს ბრალდების კვალიფიკაცია შეუცვალეს და 2 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

ამ მოვლენების პარალელურად, 2025 წლის თებერვალში პარლამენტში დროებითი საგამოძიებო კომისია შეიქმნა, თეა წულუკიანის ხელმძღვანელობით, რომელმაც მიზნად დაისახა 2003–2012 წლებში მოქმედი ხელისუფლება და იმ პერიოდის პოლიტიკური თანამდებობის პირების საქმიანობის შესწავლა. შემდგომში კომისიამ მანდატი 2012 წლის შემდგომ პერიოდზეც გაავრცელა. კომისიის მიერ განხილული ერთ–ერთი მთავარი საკითხი იყო 2008 წლის აგვისტოს ომი. კომისიის სხდომები პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა და, ზოგადად, პროსახელისუფლებო მედიის მხრიდან განსაკუთრებული ინტენსივობით შუქდებოდა. ამ კომისიაზე დაიბარეს მოქმედი ოპოზიციური პარტიების ლიდერები, რომელთა უმეტესობამ კომისიას ბოიკოტი გამოუცხადა და სწორედ ამ კომისიაზე არგამოცხადების გამო მათი დიდი ნაწილი (შვიდი პოლიტიკური ლიდერი) დააპატიმრეს და შვიდი ან რვა თვით პატიმრობა მიუსაჯეს. კომისიამ 4 აგვისტოს გამოაქვეყნა დასკვნა, რომელიც სექტემბრის დასაწყისში პარლამენტში განიხილეს.

პარალელურად, შემოიღეს რეპრესიული კანონმდებლობა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის საქმიანობის შესაზღუდად. ერთი მხრივ, „უცხოური აგენტების რეგისტრაციის აქტი“, კანონი მედიის შესახებ, და, მეორე მხრივ, გრანტების კანონი, რომელიც დონორებს რეგისტრაციის გარეშე გრანტების გაცემას უკრძალავს. შვიდ არასამთავრობო ორგანიზაციას ანტიკორუფციულმა ბიურომ ჯერ წერილი გაუგზავნა, გარკვეული ინფორმაციის მიწოდება, შემდეგ კი უცხოელი აგენტების რეესტრში დარეგისტრირება მოსთხოვა. აგვისტოს ბოლოს ამ ორგანიზაციებს ანგარიშები დაუყადაღეს და დაიწყო გამოძიება მათ წინააღმდეგ საბოტაჟის მუხლით. გამოძიების ფარგლებში ამ არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელები გამოიკითხნენ სასამართლოში.

საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები წლებია, იკვლევენ და საუბრობენ ანტიდასავლურ პროპაგანდაზე ქართულ მედია და სოც. მედია სივრცეში, განსაკუთრებით საარჩევნო პერიოდებში. ასევე, პროპაგანდაზე პროდასავლური პროტესტის წინააღმდეგ. 2022 წლის ივნისიდან 2023 წლის ივნისამდე პერიოდში CRRC–საქართველომ „ფეისბუქზე“ შეისწავლა ანტიდასავლური რიტორიკა, რაც „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის პირველ ინიცირებას უძღოდა წინ და მის შემდგომ გარკვეულ პერიოდს მოიცავდა.

შესაბამისად, ამ კონტექსტისა და სწრაფად ცვალებადი გარემოს გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია თვალ–ყურის მიდევნება იმ ძირითადი ანტიდასავლური ნარატივებისთვის, რაც სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ ვრცელდება და იმაზე დაკვირვება, თუ როგორი ინტერპრეტაცია ეძლევა მიმდინარე მოვლენებსა და ხელისუფლების ნაბიჯებს და რა აზრის ფორმირებას ცდილობს საზოგადოებაში, რომლის თითქმის ნახევარი სწორედ სოციალური ქსელებით ადევნებს თვალს ახალ ამბებს.

ანგარიშის სტრუქტურა შემდეგნაირია: იგი წარმოადგენს მონიტორინგის ძირითად შედეგებს, სადაც ყურადღება გამახვილებულია ძირითად ნარატივებზე, იმ აქტორებზე, ვისზეც პოსტებში ყველაზე ხშირადაა საუბარი, ანტიდასავლური რიტორიკის ძირითად გამავრცელებლებზე და იმ ტექნიკებზე, რასაც მოცემული გვერდები/ჯგუფები ინფორმაციის გავრცელებისას იყენებენ. თითოეულ თავში ცალკეა გამოყოფილი შედეგები სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი სეგმენტისთვის. კვლევის მეთოდოლოგიის დეტალური მიმოხილვა აღწერილია დანართში.

მოცემული ანგარიში მოიცავს 2024 წლის ნოემბრის ბოლოდან 2025 წლის მაისის ბოლომდე პერიოდს. თუმცა, ცალკე გამოყოფილია 2024 წლის ნოემბრის ბოლოდან 2025 წლის იანვრის ბოლომდე პერიოდი, რაც მოიცავს პროევროპული პროტესტის ყველაზე აქტიურ და ხალხმრავალ ფაზას, მათ შორის, დეკემბრის დარბევებსა და დაკავებებს.

ძირითადი ნარატივები

მოცემული თავი მიმოიხილავს რელევანტური პოსტების გავრცელების დინამიკას, თემატიკას და პოსტებში გადმოცემულ ძირითად ნარატივებს 2024 წლის 29 ნოემბრიდან 2025 წლის 31 მაისამდე პერიოდში. ამ ხნის განმავლობაში მომხდარი მოვლენების გათვალისწინებით, პოსტები გაანალიზებულია უფრო მოკლე პერიოდებად: მასობრივი პროტესტის დასაწყისი და აქტიური ფაზა (2024 წლის 29 ნოემბრიდან 2025 წლის იანვრის ბოლომდე), ტრამპის შემდეგ რიტორიკის შეცვლა და საკანონმდებლო რეპრესიების დასაწყისი (2025 წლის თებერვალი) და წულუკიანის ხელმძღვანელობით შექმნილი დროებითი საპარლამენტო კომისიის მუშაობა და მისი თანმდევი დაკავებები (2025 წლის გაზაფხულის თვეები). ცალკე ქვეთავებადაა წარმოდგენილი აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი მოსახლეობისთვის განკუთვნილ „ფეისბუქ“ გვერდებსა და ჯგუფზე დაკვირვების შედეგები.

2024 წლის 29 ნოემბრიდან 2025 წლის 31 იანვრამდე პერიოდი

კვლევისთვის შერჩეულ „ფეისბუქ“ გვერდებსა და ჯგუფებზე რელევანტური[3] პოსტების გავრცელების დინამიკას თუ დავაკვირდებით, 2024 წლის ნოემბრის ბოლოდან 2025 წლის მაისის ბოლომდე პერიოდში ყველაზე მეტი რაოდენობის პოსტი 29 ნოემბერს იყო, ანუ მასობრივი პროტესტის დაწყების დღეს. პოსტების დიდი რაოდენობა დაფიქსირდა ასევე დეკემბრის პირველ კვირაში, პროტესტის ყველაზე „ცხელ“ ფაზაში, როცა რუსთაველის გამზირზე შეკრებილ დემონსტრანტებს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები წყლის ჭავლითა და მხუთავი გაზის გამოყენებით შლიდნენ. ამ პერიოდის ქართულენოვან სეგმენტში, რელევანტური პოსტების ძირითადი თემატიკა სწორედ პროევროპული პროტესტი იყო.

2024 წლის 29 იანვრიდან 8 დეკემბრამდე პერიოდში ანტიდასავლურ პოსტებში ძირითად ნარატივებს თუ დავაკვირდებით, ყველაზე გავრცელებული ნარატივების შვიდეული თითქმის მთლიანად პროტესტის დისკრედიტაციას ეთმობა (იხ. დიაგრამა 1). ეს ნარატივები ცდილობს, დაარწმუნოს მკითხველი, რომ პროტესტის მონაწილეები მოძალადეები არიან, პროტესტი არ არის მშვიდობიანი, იყენებს ბავშვებს, „მაიდნის“ მოწყობა სურს, რაც მათივე ინტერპრეტაციით სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას წარმოადგენს, და გარე ძალების მიერ არის მართული.

[3] კვლევის მეთოდოლოგიის დეტალურ აღწერაში, დანართში, იხილეთ განმარტება, თუ რომელი პოსტები ითვლებოდა რელევანტურად მოცემული კვლევისთვის.

დიაგრამა 1: ანტიდასავლური ნარატივები 2024 წლის 29 ნოემბრიდან 8 დეკემბრამდე პერიოდში



პარალელურად, ვრცელდება ვიზუალური მასალა, რომელიც ცდილობს, განამტკიცოს პროტესტის ძალადობრივი ბუნება: მოლოტოვის კოქტეილები, პიროტექნიკა და პოლიციისადმი აგრესია. ასეთი პოსტების მიზანია, გააუქმოს პროტესტის დემოკრატიული ხასიათი და წარმოაჩინოს იგი, როგორც არალეგიტიმური და საფრთხისშემცველი მოვლენა.

ნოემბრის ბოლო დღეებში თვალშისაცემია ნარატიული სტრუქტურის ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებლობა. ნაკლებია დასავლურ ჩარევაზე პირდაპირი მითითებები, ხოლო დისკრედიტაცია ძირითადად მიმართულია უშუალოდ აქციის მონაწილეებისა და ორგანიზატორების წინააღმდეგ. ხოლო დეკემბერი ერთგვარ გარდამტეხ პერიოდად იქცა არამხოლოდ პროტესტის გაძლიერების, არამედ ანტიდასავლური და დისკრედიტაციული ნარატივების გაძლიერების თვალსაზრისით. უკვე დომინანტური ხდება გზავნილი, რომ საპროტესტო აქციების უკან დგას ოპოზიცია, ხოლო ოპოზიციის უკან – დასავლეთი. შესაბამისად, პროტესტი აღარ არის მხოლოდ შიდა პოლიტიკური კრიზისის გამოხატულება, არამედ დასავლეთის მიერ მართული გეოპოლიტიკური პროექტი.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს რელიგიური ნარატივების ინსტრუმენტალიზაცია. 9 დეკემბრის ინციდენტი (კუბოს დაწვა) და 13 დეკემბრის დაპირისპირება მამა შალვა კეკელიასთან წარმოჩენილია, როგორც მართლმადიდებლობის შეურაცხყოფის სიმბოლო. პროტესტის მონაწილეები შერაცხულები არიან ეკლესიისა და რწმენის მტრებად, რაც ტრადიციულ ღირებულებებზე მიტანილ იერიშად ინტერპრეტირდება.

მომდევნო თვეში ანტიდასავლური შინაარსის პოსტების განსაკუთრებული სიმრავლე შეინიშნებოდა იანვრის ბოლოს, რაც იმ დროს მიმდინარე შემდეგ მოვლენებს შეიძლება, დავუკავშიროთ: პრეზიდენტ ტრამპის ინაუგურაცია 20 იანვარს, ევროკავშირის მიერ ქართული დიპლომატიური პასპორტებისთვის უვიზო მიმოსვლის შეჩერება 27 იანვარს.

თემების კუთხით, იანვრის ბოლო ორ კვირაში ანტიდასავლური პოსტების თემატიკა დიდად არ შეცვლილა, უბრალოდ, პროევროპულ პროტესტს, საქართველოს შიდა პოლიტიკას / პოლიტიკურ პარტიებსა და დასავლელი აქტორების დისკრედიტაციას დაემატა აშშ–ს ახალი ადმინისტრაცია. ამ პერიოდში მანამდე დომინანტურ ნარატივებს, რაც პროდასავლური პროტესტის დისკრედიტაციას ცდილობდა, დაემატა დასავლეთის კრიტიკა საქართველოს ხელისუფლების მიმართ უსამართლო დამოკიდებულებისა და „შანტაჟის“ გამო (იხ. დიაგრამა 2).

დიაგრამა 2: ანტიდასავლური ნარატივები 2025 წლის 15-დან 31 იანვრამდე პერიოდში



იანვარი გამოირჩევა ანტიდასავლური გზავნილების ინტეგრირებით გლობალურ დისკურსში. დონალდ ტრამპის ინაუგურაცია საქართველოში ითარგმნება როგორც დასავლური ლიბერალური სისტემის კრიზისის დასტური. ტრამპის კრიტიკული განცხადებები უკრაინის, ზელენსკის, NATO–სა და USAID–ის მიმართ ადგილობრივ პროპაგანდისტულ არხებში წარმოდგენილია, როგორც დასავლეთის ლეგიტიმურობის დაკარგვა და ხელისუფლების პოზიციების გამართლების ინსტრუმენტი.

მნიშვნელოვანია USAID–ის წინააღმდეგ მიმართული კამპანია, რომელიც აფუძნებს ნარატივს, რომ არასამთავრობო სექტორი დასავლეთის გავლენის ბერკეტს წარმოადგენს, ხოლო უცხოური დაფინანსება ქაოსის ორგანიზებას უკავშირდება. ეს ემსახურება „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის კანონის“ ლეგიტიმაციასაც – საზოგადოებას ეს კანონპროექტი მოეწოდება როგორც სუვერენული დაცულობის მექანიზმი.

ამავე დროს იცვლება ტონი პროტესტის მიმართ. თუ ადრე დომინირებდა პირდაპირი აგრესია („მოძალადეები“, „ტერორისტები“), ახლა აქტიურდება დაცინვისა და უმნიშვნელობის ხაზი – აქციის მონაწილეები არიან

„ავადმყოფები“, „სასაცილოები“, სექსუალურად „არანორმალურები“. ეს სტიგმატიზაცია ემსახურება პროტესტის მორალურ და სოციალურ დელეგიტიმაციას.

საერთო ჯამში, იანვარში დომინირებს სამი ძირითადი ხაზი: 1. გლობალური მხარდაჭერის ილუზიის შექმნა ტრამპის მეშვეობით; 2. არასამთავრობო და ოპოზიციური სეგმენტის დემონიზაცია და ქვეყნის მოღალატედ წარმოჩენა; 3. ეკონომიკური ურთიერთობების გადატანა აღმოსავლეთისკენ, რაც მიზნად ისახავს დასავლური ეკონომიკური კავშირების შემცირების ლეგიტიმაციას.

2025 წლის თებერვლის პერიოდი

პოსტების გავრცელების დინამიკას თუ შევხედავთ, ნოემბრისა და დეკემბრის პირველი კვირის შემდეგ რაოდენობის მკვეთრი ზრდა თებერვლის რამდენიმე დღეს დაფიქსირდა. თებერვალში გამოვყავით რიგი მოვლენებისა, რასაც შესაძლოა, ანტიდასავლური პოსტების რაოდენობის ზრდა უკავშირდებოდეს:

- მასობრივი საპროტესტო აქცია „თბილისი მოლთან“ 2 თებერვალს, რომლის გამოცხადების შემდეგაც დაჩქარებულად მიიღეს საკანონმდებლო ცვლილება და სისხლის სამართლის წესით დასჯადი გახდა „თბილისი მოლის“ წინ გზის გადაკეტვა,
- შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების შემზღუდავი რეპრესიული საკანონდებლო ცვლილებების გამოცხადება 3 თებერვალს და შემდეგ დაჩქარებული წესით მიღება 7 თებერვალს. ეს ცვლილებები მოიცავდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისთვის ჯარიმების მნიშვნელოვნად გაზრდას და საპატიმრო ვადის გაზრდასაც, ასევე გარკვეული დანაშაულებისთვის, მაგალითად, ძალადობისკენ საჯარო მოწოდება, პოლიციელისთვის წინააღმდეგობის გაწევა, მუქარა და ძალადობის გამოყენება ადმინისტრაციულის ნაცვლად სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას,
- ირაკლი კობახიძის მიერ აშშ-ს საელჩოს, USAID-ის და NED-ის დადანაშაულება საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ კოორდინირებულ მოქმედებაში,
- სალომე ზურაბიშვილის დაბრუნება მიუნჰენის უსაფრთხოების კონფერენციიდან, როცა მას აეროპორტში კვერცხები დაუშინეს; ამავე დღეს აეროპორტში კვერცხები ესროლეს ოპოზიციონერ გიორგი გახარიას და მისი პარტიის წევრს,
- უფლებადამცველების მიერ ანგარიშის გამოქვეყნება, რომელიც საპროტესტო აქციის დაკავებულ მონაწილეთა მიმართ სამართლიანი სასამართლოს უფლებას ითხოვს.

დიაგრამა 3: ანტიდასავლური ნარატივები 2025 წლის 1-დან 28 თებერვლამდე პერიოდში



თებერვალში გრძელდება წინა პერიოდის თემების გაჟღერება. კვლავ მნიშვნელოვან ნაწილს იკავებს პროდასავლური პროტესტი, რომელსაც თებერვლის ტოპ ნარატივები უკავშირდება. ამ პერიოდში ასევე აქტიურია შიდა პოლიტიკისა და პოლიტიკური პარტიების თემა, მიმდინარეობს სალომე ზურაბიშვილის დისკრედიტაცია, მისი წარმოდგენა ქვეყნის მტრად და უცხო ძალების ინტერესების გამტარად, დასავლელი აქტორების დისკრედიტაცია და მათი წარმოჩენა ქვეყნის სუვერენიტეტის წინააღმდეგ მებრძოლებად, რასაც ერთ–ერთი ტოპ ნარატივიც ადასტურებს.

2025 წლის 1 მარტიდან 31 მაისამდე პერიოდი

მომდევნო, გაზაფხულის თვეებში პოსტების დინამიკის კუთხით მკვეთრი ზრდა 31 მარტს ფიქსირდება, რაც შეიძლება, დავუკავშიროთ 1 აპრილს მიღებულ საკანონმდებლო ცვლილებებს: ერთის მხრივ, მედიის შემზღუდავი კანონის და, მეორეს მხრივ, უცხოური აგენტების რეგისტრაციის აქტის მიღებას. აპრილში ასევე შეიტანეს ცვლილებები გრანტების შესახებ კანონში, შეუძლებელი გახდა უცხოური გრანტის მიღება მთავრობის თანხმობის გარეშე. გაზაფხულის თვეებში მნიშვნელოვან თემას წარმოადგენდა თეა წულუკიანის ხელმძღვანელობით შექმნილი პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის საქმიანობა, რომელიც უმეტესად პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა ტელევიზიით. კომისიის მიზანი ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების დროინდელი დანაშაულების გამოძიება იყო.

თემების ნაწილს თუ შევხედავთ, აქაც ჩანს, რომ წინა პერიოდებთან შედარებით პირველად გახდა ყველაზე აქტუალური საქართველოს შიდა პოლიტიკისა და პოლიტიკური პარტიების თემა და პროტესტმა მეორე ადგილას გადაინაცვლა. შედარებით ნაკლებად, თუმცა, კვლავ აქტუალური დარჩა დასავლელი აქტორების დისკრედიტაციის თემა და გარკვეული ყურადღება დაეთმო უკრაინის ომის თემასაც.

ეს ტენდენცია ძირითად ნარატივებშიც გამოჩნდა. გაზაფხულის თვეებში ტოპ ნარატივები ოპოზიციის დამცირებას და კრიმინალიზებას ეხებოდა (იხ. დიაგრამა 4).

დიაგრამა 4: ანტიდასავლური ნარატივები 2025 წლის 1 მარტიდან 31 მაისამდე პერიოდში



გაზაფხულის თვეებში აქციებზე ხალხის რაოდენობის შემცირებასთან ერთად იკლებს ყურადღება პროტესტისა და მისი მონაწილეების მიმართ. თუმცა, გრძელდება პროტესტის მონაწილეებისა და ოპოზიციის საწინააღმდეგო ნარატივები, რომლის მიზანია ხელისუფლებისადმი კრიტიკული ჯგუფების სრული დელეგიტიმაცია. ისინი წარმოჩენილნი არიან არა როგორც ლეგიტიმური პოლიტიკური ოპონენტები, არამედ როგორც მორალურად და ფსიქიკურად დეგრადირებული („ავადმყოფი“, „ამორალური“), კრიმინალური წარსულის მქონე („ნაცი“[4], „დამნაშავე“) და ინტელექტუალურად არასრულფასოვანი („სასაცილო“, „უსუსური“) ჯგუფი.

თეა წულუკიანის ხელმძღვანელობით შექმნილი დროებითი საპარლამენტო კომისია 2008 წლის აგვისტოს ომის დაწყებაში პასუხისმგებლობას მიხეილ სააკაშვილსა და ნაციონალურ მოძრაობას აკისრებს. ეს ნარატივები ემყარება გენერლების ჩანაწერებს და ემოციურ ისტორიებს დევნილი მოსახლეობისგან. ნაციონალური მოძრაობისა და ოპოზიციის წარმომადგენლები წარმოჩენილი არიან, როგორც დამნაშავეები და კრიმინალები. აპრილში ყურადღების ცენტრში ხვდებიან გახარია, რომელიც მივიდა კომისიაზე და ის პოლიტიკოსებიც, რომლებიც არ მივიდნენ და მერე პროკურატურამ დაიბარა და მათი ნაწილი მაისის ბოლომდე დააკავეს კიდეც. ეს დაბარებები სამართლიანად არის ჩათვლილი.

[4] ტერმინი „ნაცი“ მოდის პარტიიდან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“, თუმცა, ფაშიზმზე მინიშნებით ქცეულია შეურაცხმყოფელ ტერმინად და ზოგჯერ სცილდება უბრალოდ პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებთან მიმართებას.

ასევე, გავრცელებულია რადიკალურ–კონსერვატიული ნარატივი, რომლის დომინირება მიუთითებს მესამე, რადიკალური ფლანგის არსებობაზე, რომელიც ერთდროულად ებრძვის „ლიბერალურ“ დასავლეთსა და ოპოზიციას, და „ფარისეველ“ ხელისუფლებას. მათი მიზანია, წარმოაჩინონ საკუთარი თავი, როგორც ერთადერთი „ჭეშმარიტი“ ეროვნული და კონსერვატიული ძალა. ისინი „ოცნებას“ აკრიტიკებენ „არასაკმარისი ეროვნულობის“ გამო (მაგ.: რომ 9 აპრილის შემოქმედს „უცხო ძალას“ უწოდებენ და არა პირდაპირ რუსეთს) და ლიბერალურ პოლიტიკაში (ლგბტ მარშების დაშვება) ამხელენ. ამით ისინი ცდილობენ „ოცნების“ კონსერვატიული ამომრჩევლის ნაწილის მიზიდვას და „ნაცებისა და ქოცების“ გათანაბრებას.

აღსანიშნავია, რომ გაზაფხულის დასაწყისში უკრაინის ომის, საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერისა და ხელისუფლების აღიარების თემები ნაკლებად აქტუალურია. ძირითადი ყურადღება შიდა პოლიტიკურ დაპირისპირებებს ეთმობა. თუმცა, ვრცელდება შემდეგი ნარატივები, რომ დასავლეთი ერთს ქადაგებს (დემოკრატია), მეორეს კი პრაქტიკაში ახორციელებს (მაგ., აშშ–ის „მუდმივი პრეზიდენტობის“ ამბიციები, ევროპაში ჩინურ ინვესტიციებთან საკუთარი თანამშრომლობა მაშინ, როდესაც საქართველოს აფრთხილებენ ამის გამო).

ამბივალენტური ხდება ტრამპის ამერიკის მიმართ დამოკიდებულება. თუ ადრე დიდი იმედით ელოდებოდნენ მის ხელისუფლებაში მოსვლას, ახლა ჩანს ფრთხილი სკეფსისი. მაგალითად, კობახიძის ცნობილი ღია წერილი ტრამპს, სადაც თან პატივისცემას უდასტურებს, თან განაწყენებულია იგნორირების გამო, თან იმ ნარატივსაც ავრცელებს, „რეალურად“ სად მიდიოდა ამერიკული ფული აქამდე, როგორ ხმარდებოდა ქვეყნის დესტაბილიზაციას და ა.შ.

საერთო ჯამში, მთელი პერიოდის ძირითადი ანტიდასავლური ნარატივების ტოპ შვიდეული ასე გამოიყურება (იხ. დიაგრამა 5).

დიაგრამა 5: ანტიდასავლური ნარატივები 2024 წლის 29 ნოემბრიდან 2025 წლის 31 მაისამდე პერიოდში



ძირითადი ნარატივები აზერბაიჯანულენოვანი აუდიტორიისთვის

„ფეისბუქში“ ანტიდასავლური ნარატივების შესწავლისას ცალკე გამოყოფილი იყო საქართველოს აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობის სეგმენტი. თუმცა, დასაკვირვებელი გვერდებისა და ჯგუფების შერჩევისთანავე გამოიკვეთა ერთი თავისებურება: აზერბაიჯანულ ენაზე ვერ მოვიძიეთ საჯარო „ფეისბუქ“ ჯგუფი და/ან გვერდი, რომელიც ღიად ანტიდასავლური შინაარსის პოსტებით გამოირჩეოდა. შესაბამისად, შევარჩიეთ ერთი გვერდი და ერთი ჯგუფი, რომელიც პოპულარული იყო აზერბაიჯანულენოვან მოსახლეობაში. ორივე ახალი ამბების თემატიკისაა, ამიტომაც ამ სეგმენტში საკმაოდ განსხვავდებოდა პოსტების შინაარსიც, ნარატივებიც და როგორც ტექსტების, ასევე ვიზუალური მასალის სტილი – იგი ნაკლებად მანიპულაციური იყო.

პოსტების რაოდენობის სიხშირის მხრივ აზერბაიჯანულენოვან გვერდსა და ჯგუფში დინამიკა განსხვავებული იყო, უფრო მეტი რაოდენობის პოსტი იანვრის ბოლოსა და თებერვლის დასაწყისში, ასევე გაზაფხულის მეორე ნახევარში შეინიშნებოდა. თემები გარკვეულწილად მიჰყვებოდა საერთო ტენდენციას და 2024 წლის ნოემბრის ბოლოდან 2025 წლის მაისის ბოლომდე აქაც დომინირებდა პროევროპული პროტესტისა და შიდა პოლიტიკის / პოლიტიკური პარტიების თემები; თუმცა, აზერბაიჯანულენოვან პოსტებში მეტად იყო წინ წამოწეული რიგი თემებისა, როგორიცაა: საქართველო–აზერბაიჯანის ურთიერთობები, საქართველოს ურთიერთობა დასავლურ ინსტიტუტებთან/ ორგანიზაციებთან, სანქციები საქართველოს ხელისუფლების მიმართ და არჩევნები.

დიაგრამა 6: ანტიდასავლური ნარატივები 2024 წლის 29 ნოემბრიდან 2025 წლის 31 მაისამდე პერიოდში – აზერბაიჯანულენოვანი სეგმენტი



აზერბაიჯანულენოვან „ფეისბუქ“ გვერდსა და ჯგუფში გავრცელებული პოლიტიკური და საზოგადოებრივი ნარატივების ანალიზი აჩვენებს შედარებით დაბალანსებულ საინფორმაციო გარემოს, სადაც ანტიდასავლური და პროდასავლური გზავნილები თანაარსებობს. თუმცა, აშკარად იკვეთება ანტიდასავლური მუხტი, რომელიც ძირითადად ვლინდება როგორც საქართველოს ხელისუფლების, ისე აზერბაიჯანის ლიდერის, ილჰამ ალიევის, განცხადებებში. მაგალითად, ერთ–ერთ პოსტში ალიევი ამბობს, რომ საქართველოში მიმდინარე პროცესების უკან ემანუელ მაკრონი დგას, რაც დასავლეთის წინააღმდეგ განწყობების გაღრმავებას უწყობს ხელს.

შერჩეულ საინფორმაციო გვერდსა და ჯგუფში ხშირად ვრცელდება ევროკავშირის კრიტიკული შეფასებები საქართველოს ხელისუფლების მიმართ. აქცენტი კეთდება დემოკრატიის უკუსვლასა და ევროკავშირის რეზოლუციებზე. ამავე დროს, პერიოდულად შუქდება პროევროპული პროტესტი. ასევე ვრცელდება ინფორმაცია ევროკავშირის უპირატესობებსა და მის მიმართ მოქალაქეების მხარდაჭერის შესახებ.

პარალელურად, მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ხელისუფლების პოზიციების გაშუქებას, რომელიც დასავლეთის კრიტიკის საპირწონედ თავს სუვერენიტეტის და ეროვნული ინტერესების დამცველად წარმოაჩენს. გზავნილებში ხშირია მითითებები, რომ დასავლეთი ცდილობს საქართველოს „უკრაინიზაციას“, ხოლო ოპოზიცია წარმოჩინდება, როგორც ძალადობასა და ქვეყნის დაყოფაში დამნაშავე ძალა. ხელისუფლება ამ კონტექსტში დასავლეთის მიმართ არამეგობრულ განწყობას ქმნის და ცდილობს ოპონენტების დისკრედიტაციას. ამავდროულად, პერიოდულად ვრცელდება პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის განცხადებები, რომელშიც იგი უპირისპირდება ხელისუფლების ნარატივს და იცავს პროევროპულ კურსს. მისი პოზიცია მედიაში ჩანს, როგორც განსხვავებული პოზიცია ხელისუფლების შიგნით.

მედია ასევე აქტიურად აშუქებს დონალდ ტრამპის საერთაშორისო განცხადებებს, რაც მიანიშნებს მცდელობაზე, აზერბაიჯანულენოვანი აუდიტორია ჩაერთოს გლობალურ პოლიტიკურ დისკურსში და დასავლური პოლიტიკის კრიტიკული ასპექტები ფართო კონტექსტში გააცნოს. დადებით კონტექსტში აქტიურად შუქდება საქართველო–აზერბაიჯანის ორმხრივი ურთიერთობები, განსაკუთრებით ეკონომიკურ და ენერგეტიკულ სფეროებში. ამას თან ერთვის საქართველოს ხელისუფლების მხარდამჭერი გზავნილები, რაც კიდევ უფრო ამყარებს აზერბაიჯანთან კავშირების მნიშვნელობას.

საქართველოში მოქმედი აზერბაიჯანულენოვანი მედიასაშუალებები (Aktual.ge და 24news.ge) უფრო დაბალანსებულ ინფორმაციას აწვდის მოსახლეობას. ეს მედიასაშუალებები აშუქებენ როგორც დასავლეთისა და პროევროპული პროტესტის პოზიციებს, ისე მთავრობის განცხადებებსა და ხედვებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა აზერბაიჯანსა და თურქეთთან თანამშრომლობის საკითხებს, რაც იმის გამოა, რომ ეს ქვეყნები თავად აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანად ითვლება.

ძირითადი ნარატივები სომხურენოვანი აუდიტორიისთვის

რაც შეეხება საქართველოს სომხურენოვანი მოსახლეობის სეგმენტს, ამ შემთხვევაში დაკვირვების ქვეშ ორი გვერდია: „ფარვანა ტვ“ და „ჯავახური დიასპორა რუსეთში“. „ფარვანა ტვ“ არის ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მიერ დაფინანსებული ტელევიზია, რომელიც აქტიურად ავრცელებს მმართველი პარტიის პროპაგანდისტულ გზავნილებს. „ჯავახური დიასპორა რუსეთში“ კი მრავალი წელია ემსახურება რუსულ პროპაგანდას და ღიად ავრცელებს ანტიდასავლურ გზავნილებს. მიუხედავად იმისა, რომ მათი სტილი და ტონი ნაწილობრივ განსხვავდება, ორივე წყარო აქტიურად ეწევა პროდასავლური ოპოზიციის დისკრედიტაციას და დასავლეთის როლის უარყოფით კონტექსტში წარმოჩენას, რაც ადგილობრივი სომხური აუდიტორიისთვის ერთიან ანტიდასავლურ საინფორმაციო ველს აყალიბებს.

2024 წლის 29 ნოემბრიდან 2025 წლის 31 მაისამდე პერიოდში სომხურენოვანი აუდიტორიისთვის განკუთვნილი პოსტების თემატიკა გარკვეულწილად განსხვავებული იყო ქართულ და აზერბაიჯანულენოვანი აუდიტორიისგან. პროდასავლურ პროტესტსა და ქვეყნის შიდა პოლიტიკის / პოლიტიკური პარტიების თემებთან ერთად აქტუალური იყო რუსეთ–უკრაინის ომი, დასავლელი აქტორების დისკრედიტაცია, „ოცნების“ ხელისუფლების დასავლელი პარტნიორები, აშშ–ს ახალი მთავრობა და რუსეთ–საქართველოს ურთიერთობები. ეს ძირითად ნარატივებშიც ჩანს (იხ. დიაგრამა 7). პროტესტის მონაწილეების დისკრედიტაციის შემცველი ნარატივების შემდეგ ყველაზე ხშირია ისეთი ნარატივები, რაც „ქართული ოცნების“ ლეგიტიმურობას უსვამს ხაზს და დასავლეთს აკრიტიკებს უსამართლო მოპყრობისა და შანტაჟის გამო. სომხურენოვან პოსტებში ყურადღება იმაზეც იყო გამახვილებული, რომ სომხეთი საქართველოს ხელისუფლებას აღიარებს და მხარს უჭერს.

დიაგრამა 7: ანტიდასავლური ნარატივები 2024 წლის 29 ნოემბრიდან 2025 წლის 31 მაისამდე პერიოდში – სომხურენოვანი სეგმენტი



2024 წლის ნოემბრის ბოლოდან 2025 წლის იანვრის ბოლომდე პერიოდში განსაკუთრებით აქტიური იყო პროტესტის დისკრედიტაცია და ოპოზიციის მარგინალიზაცია, დასავლეთისა და აშშ–ს უარყოფითი წარმოჩენა, საქართველოს ხელისუფლების ლეგიტიმაციის მცდელობა და პრორუსული და ანტიდასავლური ალტერნატივების მხარდაჭერა.

ორივე წყარო მიზანმიმართულად წარმოაჩენს მიმდინარე საპროტესტო მოძრაობებს როგორც ძალადობრივ, არალეგიტიმურ და უცხოეთის ინტერესებზე მორგებულ პროცესს. აქციები აღწერილია როგორც დასავლეთის მიერ ინსპირირებული დესტაბილიზაციის მცდელობა. პროტესტის ლიდერები, განსაკუთრებით პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი, შერაცხულნი არიან „უცხოეთის აგენტებად“, რომელთა მიზანია ქვეყანა ომში ჩაითრიონ ან „მაიდნის ტიპის სცენარი“ განახორციელონ.

მკვეთრად ჩანს დასავლეთის, განსაკუთრებით კი აშშ–ის, მიმართ უარყოფითი ტონი. როგორც „ფარვანა ტვ“–ის, ისე „ჯავახური დიასპორის“ მასალებში გავრცელებულია აზრი, რომ დასავლეთს არ სურს საქართველოს განვითარება, არამედ მისი დესტაბილიზაცია და რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩათრევა. აშშ–ში მიმდინარე შიდაპოლიტიკური პროცესები, განსაკუთრებით დონალდ ტრამპის მხარდაჭერა, გამოიყენება საქართველოს მმართველი პარტიის პოზიციების გასამართლებლად – თითქოს დასავლეთი იყენებს ორმაგ სტანდარტებს და მხოლოდ მაშინ უჭერს მხარს დემოკრატიას, როდესაც ეს მათ ინტერესებში შედის.

ორივე წყარო სისტემატურად აღრმავებს მმართველი პარტიის ლეგიტიმურობის განცდას. ხაზგასმულია მისი წარმატებული საერთაშორისო კონტაქტები, რაც მიმართულია იმ იდეის გაღრმავებისკენ, რომ ქვეყნის სუვერენიტეტი დაცულია და დასავლური ზეწოლა უსამართლოა. ამავდროულად, მმართველი ძალები წარმოდგენილი არიან

როგორც პატრიოტული, სტაბილურობის გარანტი ძალა, რომელიც წარმატებით უპირისპირდება გარე მტრულ აქტორებს.

„ჯავახური დიასპორა რუსეთში“ ღიად ავრცელებს პრორუსულ ნარატივებს: მხარდაჭერილია რუსეთთან თანამშრომლობა, მათ შორის ეკონომიკური, კულტურული და ინფრასტრუქტურული, რაც თითქოს საქართველოსთვის უფრო ბუნებრივი და მომგებიანი არჩევანია, ვიდრე დასავლეთთან ინტეგრაცია. პარალელურად, დასავლეთი წარმოდგენილია როგორც ქაოსის, ომებისა და არეულობის წყარო.

მომდევნო თვეებში, თებერვლიდან მაისამდე პერიოდში გრძელდება ხელისუფლების ლეგიტიმაცია და სტაბილურობის ხაზგასმა, რომ ქვეყანაში არ არსებობს კრიზისი და მდგომარეობა მშვიდია. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა აღმოსავლეთთან – ჩინეთთან, შუა აზიასთან და საუდის არაბეთთან – ეკონომიკური და დიპლომატიური ურთიერთობების გაღრმავებას. ხელისუფლების პოზიციის თანახმად, ახალი კანონები, რომლებიც უცხოური გავლენების კონტროლსა და არასამთავრობო სექტორის რეგულაციას ისახავს მიზნად, აუცილებელია ქვეყნის უსაფრთხოების დასაცავად. ამასთანავე, პოზიტიური ნარატივები ვრცელდება მიხეილ ყაველაშვილის შესახებ. იგი მედიაში ნაჩვენებია როგორც ეროვნული იდენტობისა და რწმენის მატარებელი პრეზიდენტი, რომელსაც საერთაშორისო აღიარება აქვს.

დანარჩენი წყაროების მსგავსად, 2025 წლის გაზაფხულზე ვრცელდება ოპოზიციის დისკრედიტაციის შემცველი ნარატივები. ოპოზიცია, განსაკუთრებით კი „ნაციონალური მოძრაობა“ და სალომე ზურაბიშვილი, ნაჩვენებია როგორც დასავლური „გარე ძალების“ მიერ მხარდაჭერილი და სანქცირებული აგენტები, რომელთა მიზანი ქვეყნის დესტაბილიზაცია და ხელისუფლების დამხობაა. სალომე ზურაბიშვილი ხშირად წარდგენილია „მოღალატედ“, რის შედეგადაც მასზე თავდასხმები ნორმალურ მოვლენად მიიჩნევა. პროტესტის გაშუქებისას ხაზგასმულია, რომ ეს დასავლეთის დაფინანსებული პროექტია, რომელიც „ანტიეროვნულ“ და „დესტრუქციულ“ მიზნებს ემსახურება.

კვლავ გრძელდება დასავლეთის დისკრედიტაცია. დასავლეთი და ოფიციალური ბრიუსელი წარმოჩენილია როგორც არაკეთილგანწყობილი ძალები, რომლებიც უსამართლოდ ეპყრობიან საქართველოს და შიდა პოლიტიკურ პროცესებზე გავლენის მოსახდენად იყენებენ ფინანსურ ბერკეტებს. აშშ–ის „დიფ სთეითი“ და კონკრეტული კონგრესმენების ინიციატივები (მაგალითად, MEGOBARI აქტი) აღწერილია როგორც მტრული ნაბიჯები, რომლებიც საქართველოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას ემუქრება. ევროკავშირი კი წარმოდგენილია პროვოკატორად, რომელიც ცდილობს საქართველოს პოლიტიკის შეცვლას და პრორუსული კურსის ჩახშობას.

კიდევ ერთი ნარატივი უკავშირდება უკრაინის ომის პროპაგანდისტულ ინტერპრეტაციას. უკრაინაში ომის დაწყება ახსნილია, როგორც გარე ძალების და ნატოს გაფართოების შედეგი, რომელმაც რუსეთი აიძულა, საკუთარი უსაფრთხოების დასაცავად მოქმედება დაეწყო. ნარატივის მიხედვით, აშშ–მ უკრაინას დახმარება შეუწყვიტა, ხოლო თავად უკრაინას არ სურს ომის დასრულება, რაც კონფლიქტის გამწვავებას იწვევს. დონალდ ტრამპი წარმოჩენილია, როგორც პრორუსული ფიგურა, რომელსაც შეუძლია ომის შეწყვეტა და რუსეთთან

ურთიერთობების გაუმჯობესება. ამასთან, რუსეთი ნაჩვენებია, როგორც მშვიდობისა და მოლაპარაკებებისათვის მზად მყოფი მაშინ, როცა უკრაინა ამას არ აღიარებს.

პოზიტიურადაა წარმოჩენილი რუსეთ–საქართველოს ურთიერთობები. ქართულ–რუსული ურთიერთობები აღწერილია, როგორც ისტორიულად მეგობრული და ეკონომიკური თვალსაზრისით სასარგებლო, რომლის გაღრმავება აუცილებელია. დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა ორივე ქვეყნის ინტერესად არის გადმოცემული, ხოლო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხი არ უნდა გახდეს ბარიერი ურთიერთობების ნორმალიზაციისთვის. ამავე დროს, ხელისუფლება აცხადებს, რომ დიპლომატიურ ურთიერთობებს მხოლოდ ტერიტორიული მთლიანობის გათვალისწინებით აღადგენს მაშინ, როდესაც რუსეთი ამ რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარებას ითხოვს.

ძირითადი აქტორები

იმის გაანალიზებასთან ერთად, თუ როგორია პოსტების სიხშირე, თემატიკა და ნარატივები, საინტერესოა, დავაკვირდეთ, თუ ვის ან რას ახსენებს ანტიდასავლური შინაარსის პოსტები ყველაზე ხშირად და როგორია ამ ხსენების თუ წარმოჩენის ტონი – დადებითი, ნეიტრალური თუ უარყოფითი. მოცემული თავი სწორედ ძირითად აქტორებს ეხება. ცალკე ქვეთავებშია განხილული აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი მოსახლეობისთვის განკუთვნილი „ფეისბუქ“ გვერდებისა და ჯგუფის შედეგები.

სრულ მონაცემებს და მთლიან პერიოდს თუ შევხედავთ, იკვეთება ორი ყველაზე ხშირად წარმოჩენილი აქტორი: საქართველოს ხელისუფლება/„ქართული ოცნება“ და პროევროპული პროტესტის მონაწილეები. ხელისუფლების/„ქართული ოცნების“ შემთხვევაში ვხვდებით უარყოფითი წარმოჩენის წილსაც, რაც უმეტესად ახალი ამბების ტიპის შედარებით ნეიტრალურ გვერდებზე პროევროპული პროტესტის თემატიკის ან დასავლეთის მხრიდან საქართველოს ხელისუფლების კრიტიკის გაშუქების შედეგია, და დადებითი წარმოჩენის სხვა აქტორებთან შედარებით მაღალ წილს. პროევროპული პროტესტის მონაწილეების წარმოჩენა კი დადებითად ძალიან იშვიათად ხდება და უმეტესად უარყოფით ჭრილში არიან წარმოდგენილნი (იხ. დიაგრამა 8).

დიაგრამა 8: პოსტებში წარმოჩენილი აქტორები მათი წარმოჩენის ტონის მიხედვით



დანარჩენ ტოპ აქტორებს შორისაა: ოპოზიცია, ევროკავშირი / ევროპა, ირაკლი კობახიძე / პრემიერმინისტრი, სალომე ზურაბიშვილი და დონალდ ტრამპი. მათ შემთხვევაში უარყოფითი წარმოჩენა ჭარბობს ოპოზიციის, ევროკავშირის/ევროპისა და სალომე ზურაბიშვილის შემთხვევაში, ხოლო ირაკლი კობახიძის შემთხვევაში უარყოფითი გაშუქების წილი თითქმის არ გვხვდება.

საინტერესოა, რომ თუკი მხოლოდ ქართულენოვან სეგმენტს შევხედავთ და აჭარის გვერდსა და ჯგუფსაც გამოვრიცხავთ, რომელთა შორისაც, აზერბაიჯანულენოვანი გვერდის მსგავსად, ახალი ამბების გვერდია და ინფორმაციას უფრო მოკლედ და ნეიტრალურად გადმოსცემს, ყველაზე ხშირად წარმოჩენილი აქტორების ჩამონათვალი იცვლება და პირველ ადგილას ინაცვლებს პროევროპული პროტესტის მონაწილეები და გაშუქების უდიდესი წილი უარყოფითია. იგივე ეხება სხვა აქტორებსაც: ნაციონალურ მოძრაობას, სალომე ზურაბიშვილს, ევროკავშირს/ევროპასა და ოპოზიციას. მხოლოდ საქართველოს ხელისუფლება/„ქართული ოცნება“ და დონალდ ტრამპია გარკვეული დოზით პოზიტიურად წარმოჩენილი (იხ. დიაგრამა 9). ეს სხვაობა აჩვენებს ამ გვერდების/ჯგუფების მიზანს, გააკრიტიკოს და უარყოფითად წარმოაჩინოს პროდასავლური პროტესტი, ოპოზიცია და თავად დასავლეთი.

დიაგრამა 9: პოსტებში წარმოჩენილი აქტორები მათი წარმოჩენის ტონის მიხედვით, მხოლოდ ქართულენოვანი სეგმენტი (აჭარის გარდა)



ანტიდასავლურ გვერდებზე გამოქვეყნებულ პოსტებში ხელისუფლების წარმომადგენლები წარმოჩენილნი არიან, როგორც ძლიერი ფიგურები, რომლებიც „ღირსეულ პასუხს“ სცემენ „პროვოკატორებს“ და ცდილობენ ქვეყანაში სტაბილურობის შენარჩუნებას და ასევე ქვეყნის დაცვას უცხოური გავლენებისგან. მათ აღიქვამენ ეროვნული ხელისუფლების და პროტესტისადმი წინააღმდეგობის სიმბოლოდ.

ანტიდასავლურ ნარატივებში პროტესტის მონაწილეები ერთ–ერთ ძირითად სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ. მათ ხშირად მოიხსენიებენ კრიმინალებად, მოძალადეებად ან ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირებად. თანდათანობით იზრდება მათ მიმართ აგრესიული რიტორიკა – ეპითეტებით „არანორმალურები“ და „ავადმყოფები“. განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება პროტესტის მონაწილეთა ვიზუალური წარმოჩენა – არატრადიციული ჩაცმულობა ან გენდერული გამოხატულება – რათა ეს ჯგუფები იქნეს წარმოდგენილი, როგორც საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევები ან დასავლური „გარყვნილების“ შედეგი. ცალკეული აქტივისტები, განსაკუთრებით ლგბტქ+ თემის წარმომადგენლები, წარმოჩენილნი არიან, როგორც პროტესტის სახე.

პოსტებში პროევროპული პროტესტის მონაწილეები უმეტესწილად გაერთიანებული კრებითი ტერმინებითაა მოხსენიებული – „მაიდანის“, „რევოლუციის მომხრეები“, „მოძალადეები“ და ა.შ. ამგვარი განზოგადება ხელს უწყობს პროტესტის ლეგიტიმაციის დათრგუნვას და არადემოკრატიული იარლიყის მიწებებას. ინდივიდუალური სუბიექტების ნაცვლად, აქცენტი კეთდება მასაზე, რაც აძლიერებს დეჰუმანიზაციის ეფექტს, მონაწილეები აღიქმებიან, როგორც ბრბო, რომელსაც ძალადობრივი და დესტრუქციული მოტივები ამოძრავებს. მათ მოიხსენიებენ, როგორც „ამორალურ ბრბოს“ ან „უსამშობლოებს“. ერთ–ერთ პოსტში აქციის მონაწილეებზე ნათქვამია, რომ „საკუთარ ქალაქს წვავთ და ამტვრევთ ყველაფერს“, რაც უშუალოდ აპელირებს ქაოსის და აგრესიის მოლოდინზე.

აქცენტი კეთდება ახალგაზრდებზე, რომლებსაც ანტი–სახელმწიფოებრივი ძალები, განსაკუთრებით ოპოზიცია, როგორც „ტვინგამორეცხილ“ მასად იყენებს. ასევე კრიტიკა ეხება არასრულწლოვნების ჩართვას პროტესტში.

ოპოზიციური პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები და კრიტიკული მედია ანტიდასავლური გზავნილების კონტექსტში ერთგვარად „ერთი ქოლგის ქვეშ" არიან გაერთიანებული, ხშირად მოხსენიებული ტერმინებით – „ნაცები“, „ნაცმედიები“, „ნაცენჯეოები“. ისინი წარმოჩენილნი არიან, როგორც დასავლური გავლენის აგენტები, რომლებიც მიზნად ისახავენ პროდასავლური იდეოლოგიის გავრცელებას და ქვეყნის შიდა არასტაბილურობის გაზრდას. ეს ჯგუფები, ნარატივის მიხედვით, საქართველოს სუვერენიტეტს უქმნიან საფრთხეს და ემსახურებიან უცხოურ ინტერესებს.

ოპოზიციაც ხშირად მოხსენიებულია განზოგადებულად, რაც კიდევ უფრო ამყარებს სტრატეგიას მისი დისკრედიტაციისთვის. როგორც ჩანს, მიზანი არის მთელი ოპოზიციური სპექტრის ტოტალურად უარყოფით კონტექსტში წარმოჩენა. თუმცა, იმ შემთხვევებში, როდესაც ხაზგასმას საჭიროებს კონკრეტული ბრალდება – მაგალითად, რუსეთთან შესაძლო კავშირი – მაგალითად მოჰყავთ კონკრეტული ფიგურები, მაგალითად, ელენე ხოშტარია და სხვა ცნობილი სახეები. ეს ასახავს მიზანმიმართულ მიდგომას: კრიტიკის სპეციფიკური გამწვავებისას ხდება ინდივიდების პერსონალიზაცია, ხოლო ზოგად უარყოფით განწყობაზე – კრებითი წარმოჩენა.

თებერვლიდან მოყოლებული პერიოდში, როცა, წულუკიანი კომისიის გააქტიურების ფონზე, პოლიტიკური პარტიების დისკრედიტაციამ წინა პლანზე წამოიწია, გახშირდა ნაციონალური მოძრაობის ცალკე ხსენებაც. ნაციონალური მოძრაობა და მიხეილ სააკაშვილი გამოყენებულია მტრის პერსონიფიცირებულ იმიჯებად, რომლებსაც ბრალს სდებენ 2008 წლის ომის დაწყებას, ადამიანთა წამებას და კრიმინალურ აქტივობებს. მიხეილ სააკაშვილი და ნაციონალური მოძრაობა წარმოჩენილია როგორც წარსულის „ბოროტი ძალები,“ რომლებიც სათავეში უდგანან ქვეყნის დესტაბილიზაციას. მათი დისკრედიტაცია ემყარება როგორც წარსულს, ისე დღევანდელ ბრალდებებს ღალატსა და ანტიეროვნულ მოღვაწეობაზე.

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ანტიდასავლურ ნარატივებში უარყოფით კონტექსტში ჩანს. მისი პროდასავლური განცხადებები წარმოჩენილია, როგორც დასავლური ინსტრუქციებით ნაკარნახევი. პრეზიდენტის გააქტიურებას საპროტესტო მოძრაობების პარალელურად წარმოაჩენენ, როგორც მავნე ჩარევას შიდა პოლიტიკაში და საფრთხის შემცველს ხელისუფლების სტაბილურობისთვის. ამასთანავე, ნარატივებში იგი წარმოდგენილია, როგორც „მნიშვნელობის არმქონე“ ფიგურა, რაც მიზნად ისახავს მის დისკრედიტაციას.

სალომე ზურაბიშვილი ხშირად გვხვდება მიზანმიმართული პერსონალური თავდასხმის ობიექტად. მისი კრიტიკა მიმართულია როგორც საპროტესტო აქციებისადმი თანადგომისთვის, ისე ტრამპის ინაუგურაციაზე დასწრების გამო. პოსტებში ის გამოისახება როგორც „გარე მხარდაჭერის მაძიებელი“, „მონური ფსიქოლოგიის მქონე“, „რევოლუციის ლიდერი“ ან თუნდაც „მოღალატე“. ეს ნარატივი ქმნის ზურაბიშვილის როგორც დასავლეთზე დამოკიდებული, უპრინციპო და სამარცხვინო ლიდერის იმიჯს. ზურაბიშვილის წარმოჩენის სტილი განზრახ ირონიულია: „მადამ პრეზიდანი“, „სალომე გევარა“, რაც მიზნად ისახავს მისი ლეგიტიმურობის ჩამოშლას.

დონალდ ტრამპი, განსაკუთრებით მონიტორინგის დასაწყის თვეებში, ანტიდასავლურ მედია დისკურსში ხშირად პოზიტიურადაა წარმოდგენილი. იგი განიხილება, როგორც დასავლური ლიბერალიზმის მთავარი მოწინააღმდეგე და „დიფ სთეითის“ დამმარცხებელი. ტრამპის მიერ მიღებულ კონკრეტულ გადაწყვეტილებებს გადმოსცემენ, როგორც საყოველთაო გარდატეხის მაცნეს. ამგვარად, ტრამპი წარმოჩინდება როგორც ფასეულობათა საპირისპირო ბანაკის ლიდერი, რომელიც ასოცირდება კონსერვატიზმთან, ეროვნული იდენტობის შენარჩუნებასა და ტრადიციულ ღირებულებებთან.

აშშ–ის ახალი ადმინისტრაციის ზოგიერთი გადაწყვეტილება, მაგალითად USAID–ის საქმიანობის შეჩერება, წარმოდგენილია როგორც დასავლეთის ტრანსფორმაციის საწყისი ეტაპი და აღიქმება დადებითად, განსაკუთრებით პროსახელისუფლებო წყაროებში. ამასთანავე, ილონ მასკი წარმოდგენილია, როგორც გაბედული, ახალი ტიპის ლიდერი, რომელიც პროვოცირებს ანტილიბერალურ დისკურსს.

ამერიკული კონსერვატიული ძალები (მაგ.: ტრამპის მხარდამჭერები) ნარატივებში ჩანს, როგორც დასავლეთში არსებული „სწორი“ ხმის წარმომადგენლები. მათი ხსენება ასოცირდება მცდელობასთან, რომ ქართული ანტიდასავლური პოზიციები დასავლური პოლიტიკური იდეოლოგიის ნაწილად წარმოჩინდეს. ამით იქმნება ილუზია, რომ დასავლეთის შიგნითაც არსებობს მხარდაჭერა ქართული ხელისუფლების მიდგომებისადმი.

ევროკავშირის ხსენება უფრო კონკრეტულ ჭრილში ხდება და ის ხშირად ასოცირდება „სადამსჯელო“ პოლიტიკასთან. განწყობა ნეგატიურია – აქცენტი კეთდება ევროკავშირის ჩარევის სურვილზე საქართველოს შიდა საქმეებში. ამ ნარატივში ევროკავშირი აღარ არის აბსტრაქტული „დასავლეთი“, არამედ კონკრეტული მოთამაშე, რომელიც თითქოს მიზანმიმართულად ცდილობს საქართველოს დასჯას. მაგალითად, ერთ პოსტში ნათქვამია, რომ „მოლაპარაკებები არც კი არსებობდა და რაც არ არსებობდა, ვერ შეჩერდებოდა“, რაც წარმოაჩენს ევროკავშირს როგორც არამეგობრულ და ხელოვნურად კრიტიკულ მოთამაშედ.

აზერბაიჯანულენოვან პოსტებში წარმოჩენილი აქტორები

აზერბაიჯანულენოვან პოსტებში წარმოჩენილი აქტორების ჩამონათვალი მსგავსია, თუმცა, ქართულენოვანი პოსტებისგან განსხვავებით, ტოპ აქტორების შვიდეულში გვხვდება რუსეთიც. აქტორების გაშუქების ტონში ვხვდებით შედარებით მეტ ნეიტრალურ ტონს, როგორც ხელისუფლების წარმომადგენლების, ასევე ოპოზიციური ჯგუფების, პროტესტის მონაწილეების თუ ევროკავშირის წარმოჩენისას (იხ. დიაგრამა 10). ეს ისევ და ისევ იმით აიხსნება, რომ დაკვირვების ქვეშ მყოფი აზერბაიჯანულენოვანი გვერდი და ჯგუფი საინფორმაციო საშუალების გვერდსა და ჯგუფს წარმოადგენს და შედარებით უფრო მეტადაა დაბალანსებული, ვიდრე სხვა ანტიდასავლური გვერდები და ჯგუფები.

დიაგრამა 10: პოსტებში წარმოჩენილი აქტორები მათი წარმოჩენის ტონის მიხედვით, აზერბაიჯანულენოვანი სეგმენტი



საქართველოს ხელისუფლება, ირაკლი კობახიძე და შალვა პაპუაშვილი, რომლებიც შედარებით უფრო ხშირად არიან წარმოჩენილნი აზერბაიჯანულენოვან პოსტებში, მოიაზრებიან, როგორც მოქმედი მმართველი ძალა, რომელიც აკრიტიკებს ევროკავშირს და ოპოზიციას.

პროევროპული პროტესტის მონაწილეები და სამოქალაქო აქტივისტები ქვემო ქართლიდან წარმოჩენილნი არიან, როგორც მოქალაქეები, რომლებიც ევროკავშირს მხარს უჭერენ და აპროტესტებენ ხელისუფლების გადაწყვეტილებას. მათი გაშუქების უმეტესი წილი ნეიტრალური ტონითაა.

ევროკავშირი და მისი ინსტიტუციები, ერთის მხრივ, მოიაზრებიან, როგორც საქართველოს ევროპული ინტეგრაციის მხარდამჭერი ფიგურები, რომლებიც ხელისუფლების ქმედებებს აკრიტიკებენ. ამავდროულად, ანტიდასავლურ ნარატივებში ისინი ხშირად აღწერილნი არიან, როგორც ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევის მსურველები.

აზერბაიჯანულენოვან პოსტებში ნახსენებია აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი, რომელიც მხარს უჭერს საქართველოს ხელისუფლებას, ასევე ავრცელებს ანტიდასავლურ ნარატივებს და რეგიონული ურთიერთობების განმტკიცების მსურველადაა წარმოდგენილი.

სომხურენოვან პოსტებში წარმოჩენილი აქტორები

სომხურენოვან პოსტებში ყველაზე ხშირად წარმოჩენილი აქტორების ჩამონათვალი ქართულენოვან და აზერბაიჯანულენოვან პოსტებს უმეტესად ემთხვევა. ქართულენოვანისგან განსხვავებით, აქაც ვხვდებით რუსეთს, როგორც ხშირად ნახსენებ აქტორს, ასევე უკრაინას. ქართულენოვანი ანტიდასავლური შინაარსის პოსტების მსგავსად, სომხურენოვან პოსტებშიც იკვეთება შემდეგი ტენდენცია: საქართველოს ხელისუფლება/„ქართული ოცნება“, მისი წარმომადგენლები, მაგალითად, ირაკლი კობახიძე და მიხეილ ყაველაშვილი, ხშირად დადებითი ტონით არიან ნახსენები. მათ შემთხვევაში თითქმის არ ვხვდებით უარყოფით ტონს. საპირისპირო ვითარებაა პროტესტის მონაწილეების და ოპოზიციის შემთხვევაში, სადაც წარმოჩენა უმეტესწილად უარყოფითად ხდება (იხ. დიაგრამა 11). რაც შეეხება რუსეთს, აქ საკმაოდ მაღალია მისი დადებითი წარმოჩენა. უკრაინა კი უმეტესად ნეიტრალურად ან უარყოფითადაა ნახსენები.

დიაგრამა 11: პოსტებში წარმოჩენილი აქტორები მათი წარმოჩენის ტონის მიხედვით, სომხურენოვანი სეგმენტი



სომხურენოვან პოსტებში პროტესტის მონაწილეები ცენტრალურ სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს. მათ მიმართ გამოიყენება დისკრედიტაციის სხვადასხვა სტრატეგია. მათ წარმოაჩენენ მოძალადეებად, უკანონობის მაპროვოცირებელ ძალადობრივ ჯგუფებად, რომლებიც დასავლური აქტორების კარნახით მოქმედებენ. ნარატივი ცდილობს პროტესტის გაშავებას „მაიდნის“ მოვლენებთან პარალელების გავლებით, რაც შიშის გაღვივებას და პროევროპული მოთხოვნების დელეგიტიმაციას ემსახურება.

დასავლეთი წარმოჩენილია, როგორც უცხო და მტრული ძალა, რომელიც ცდილობს საქართველოს შიდა საქმეებში ჩარევას. მიზანი დასავლეთის დემონიზაციაა – მის პოლიტიკურ ინსტიტუტებზე, ფონდებსა და პოლიტიკოსებზე კონსპირაციულად კეთდება მინიშნებები, თითქოს ისინი ახორციელებენ სცენარებს ქვეყნის დესტაბილიზაციისთვის.

კონკრეტული გზავნილებია მიმართული ევროკავშირისა და აშშ–ს წინააღმდეგ, რომლებსაც დანაშაულებრივი ზრახვები მიეწერებათ – მათ შორისაა გადატრიალების მხარდაჭერა და საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ გამოყენება.

„ფარვანა ტვ"–ს ნარატივში ხელისუფლება პოზიციონირებულია, როგორც საქართველოს სტაბილურობის და სიმშვიდის დამცველი. პროტესტის გაშავების ფონზე ცდილობენ მისი აუდიტორიის დარწმუნებას, რომ არსებული ხელისუფლება იცავს ქვეყანას დასავლეთისგან მომავალ საფრთხეებთან ბრძოლაში. ნარატივი ადასტურებს იმ იდეას, რომ მთავრობა არა მხოლოდ შიდა მტრების (ოპოზიცია, აქტივისტები), არამედ გარე მავნე ძალების წინააღმდეგაც იბრძვის.

ოპოზიციური პარტიები და კონკრეტულად სალომე ზურაბიშვილი დისკრედიტაციის სამიზნედ გვევლინებიან. ოპოზიცია წარმოდგენილია როგორც დასავლეთის გავლენის აგენტი, რომელიც ქვეყნის გადატრიალებას ცდილობს. „ჯავახური დიასპორა რუსეთში" განსაკუთრებით გამოირჩევა ზურაბიშვილის პიროვნული დისკრედიტაციით – მას მიეწერება შეთქმულებაში მონაწილეობა აშშ–ს სახელით.

„ჯავახური დიასპორა რუსეთში"–ს გზავნილებში რუსეთი პოზიტიურად წარმოჩინდება – როგორც ისტორიული მეგობარი და სტაბილური მეზობელი, რომელთანაც მოლაპარაკება და ურთიერთობების გაღრმავება ქვეყანას მეტ სარგებელს მოუტანს. ეს ნარატივი არა მხოლოდ დასავლეთისგან დისტანცირების წახალისებას, არამედ რუსეთის მიმართ ლოიალური განწყობების გაძლიერებასაც ისახავს მიზნად.

ძირითადი გამავრცელებლები (პოსტის ავტორები და გამზიარებლები)

მოცემული თავი მიმოიხილავს ანტიდასავლური შინაარსის პოსტების ავტორებისა და გამავრცელებლების კატეგორიებს, მათ ვინაობასა და მახასიათებლებს. აქაც ცალკე ქვეთავებადაა გამოყოფილი ინფორმაცია აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი გვერდებისა და ჯგუფის შესახებ.

რაც შეეხება პოსტების ავტორებსა და გამავრცელებლებს, ისინი მოიცავს მონიტორინგისთვის შერჩეულ გვერდებსა და ჯგუფებს, რომლებიც ხშირად თავად ან მათი „ადმინები" არიან ინფორმაციის გამავრცელებელი; თუმცა, ხშირად იყენებენ სხვადასხვა მედია საშუალების მასალას. შერჩევის მრავალფეროვნებისთვის ზოგი გვერდი/ჯგუფი წარმოადგენდა ღიად ხელისუფლების მხარდამჭერ პლატფორმას, ზოგი – შეფარვით მხარდამჭერს, ზოგი იყო „მეინსტრიმ" ან „არამეინსტრიმ" მედია საშუალება, და ზოგიც კონსერვატიული ფლანგის წარმომადგენელი. ამიტომაც ქვემოთ მოცემული კატეგორიები გარკვეულწილად შერჩევაშივე იყო წინასწარ განსაზღვრული.

ანტიდასავლური და პროსამთავრობო შინაარსის პოსტების ძირითადი გამავრცელებლები მოიცავს როგორც მედიასაშუალებებს, ასევე კერძო პირებსა და ორგანიზებულ Facebook–გვერდებს, რომლებიც პარტია „ქართულ ოცნებასთან" პირდაპირ ან ირიბად არიან დაკავშირებული. მათი მიზანია დომინანტური საინფორმაციო ველის

შექმნა, ხელისუფლებისთვის ხელსაყრელი ინტერპრეტაციების გავრცელება, ოპონენტების მარგინალიზება და მხარდამჭერთა ბაზის შენარჩუნება ან გაზრდა.

გვერდებისა და ჯგუფების ძირითადი კატეგორიებს წარმოადგენს:

- **პროსამთავრობო მედიასაშუალებები** – მაგალითად, „POSTV ანალიტიკა“ აშკარად პროპაგანდისტულ ხასიათს ატარებს. იგი ანტიდასავლური შინაარსის ერთ–ერთი მთავარი შემქმნელია. გამოირჩევა აგრესიული, სატირული და სარკაზმული თავდასხმებით ოპოზიციის, კრიტიკული მედიისა და აქტივისტების წინააღმდეგ. მისი პოსტები ხშირადაა მანიპულაციური. მისი სტრატეგიაა ოპონენტების დისკრედიტაცია, მათ არაადეკვატურ და სასაცილო ფიგურებად წარმოჩენა. ამასთანავე, საინფორმაციო სააგენტოები, რომლებიც ავრცელებენ პროსახელისუფლებო, ანტიოპოზიციურ, ანტიდასავლურ ინფორმაციებს (მაგალითად, იმედი, მარშალპრესი, ინფო 9).
- **გაზეთი აჭარა** – წერილობით მედიაში „გაზეთი აჭარა“ იკავებს იმგვარ პოზიციას, რასაც საზოგადოებრივი მაუწყებელი ტელევიზიაში. მას არ გააჩნია ღია პროპაგანდისტული ტონი, თუმცა, ხშირად თავს არიდებს კრიტიკულ თემებს ან ისე „აბალანსებს“ მასალებს, რომ პოლიტიკურ პროცესებში კრიტიკულად მნიშვნელოვანი კითხვები დაუფარავი რჩება. ასევე, ხშირად ავრცელებს სახელისუფლებო გზავნილებს ინტერვიუების სახით, ყოველგვარი ანალიზის ან კონტექსტის გარეშე.
- **სახელისუფლებო პარტიასთან დაკავშირებული გვერდები და ჯგუფები** – მაგალითად, „ანტი მაიდანი“[5] საჯაროდ აცხადებს, რომ წარმოადგენს „ქართული ოცნების“ მხარდამჭერ სამოქალაქო მოძრაობას. მსგავსი გვერდები მიზანმიმართულად ავრცელებენ პროსამთავრობო ნარატივებს და ამ გზით ცდილობენ საზოგადოების პოლიტიკურ პოლარიზაციას.
- **ანტიდასავლური და პროპაგანდისტული გვერდები „პოლიტიკოსები ერთი ლარიდან“**, **„სირცხვილის კორიდორი“** — ეს გვერდები, მიუხედავად განსხვავებული ტონალობისა, საერთო ჯამში გადმოსცემენ პროსამთავრობო და ანტიდასავლურ გზავნილებს. **Gogaggg** — შედარებით ფრთხილ სტრატეგიას მიმართავს: ხშირად იყენებს ნეიტრალურ ტონს, მაგრამ ქვეტექსტებში ცხადად ჩანს ხელისუფლების მხარდაჭერა. დისკრედიტაციაზე ორიენტირებული გვერდები: „პოლიტიკური კომედია“ (ოპოზიციის დაცინვა) და „არქივი“ (ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პერიოდის ნეგატიური ასპექტების წარმოჩენა).
- **ანტიდასავლური გვერდების ადმინები** – დავით თორდია („ლიდერი 41“–ის ადმინი), ლეილა ცინაძე–მელიქიძე და ლაშა ჯუღელი („ბიძინა ივანიშვილი და მომავალი თაობას“ ადმინები) არა მხოლოდ მართავენ ანტიდასავლურ გვერდებს, არამედ თავადაც არიან აქტიური კონტენტის ავტორები და გამავრცელებლები. მაგალითად, **„ბიძინა ივანიშვილი და მომავალი თაობა №oficial“** — ჯგუფის აქტიური ადმინი ლეილა ცინაძე–მელიქიძე ღიად პროსამთავრობო და ანტიდასავლური ნარატივების გამტარია. მისი პოზიციონირება

[5] გვერდი „ანტი მაიდანი“ „მეტას“ პლატფორმის მიერ დაიბლოკა და მონიტორინგში თებერვლის შუა რიცხვებიდან იგი ჩანაცვლდა გვერდით „არ აგარევინებთ“.

ეფუძნება მესიჯს, რომ ხელისუფლება არის ხალხის არჩევანი, ხოლო პროტესტი — ანტიქართული და ანტისახელმწიფოებრივი ქმედება.

- **რადიკალურ–კონსერვატიული და „ალტ–ინფოს“ ხაზის გამტარი გვერდები** – პატრიოტული გვერდი — ავრცელებს როგორც პრო–სახელისუფლებლო, ისე ულტრა–კონსერვატიულ და ანტი–დასავლურ გზავნილებს. „წმინდა მამები და მათი გამონათქვამები!“ — რელიგიური შეფუთვის მიუხედავად, ფუნქციონირებს როგორც ულტრაკონსერვატიული პარტიის „ქართული იდეას“ ლიდერის, გეგა გიორგი ხვედელიძის პოლიტიკური პლატფორმა. ვრცელდება რადიკალური, ქსენოფობიური, ჰომოფობიური და ანტი–ლიბერალური შინაარსის მასალები, რომლებიც აკრიტიკებს როგორც ოპოზიციას, ისე ხელისუფლებას „არასაკმარისი ეროვნულობის“ გამო. „ქართული იდეა“ — ულტრაკონსერვატიული პოლიტიკური ძალა, რომელიც ხელისუფლებასაც აკრიტიკებს. მისი გზავნილების გამავრცელებელია თავად გეგა გიორგი ხვედელიძე, რომელიც ხშირად აზიარებს პარტიის პოსტებს „წმინდა მამების“ ჯგუფში.
- **ჟურნალისტები და აქტივისტები** – ჟურნალისტები გელა ზედელაშვილი და ლიზა გეგეჭკორი რეგულარულად ავრცელებენ პროსამთავრობო, ანტიოპოზიციურ და ანტიდასავლურ გზავნილებს. იდენტიფიცირებული აქტივისტები: ზურა ოსეფაშვილი, დიტო ბიძინაშვილი, Katie Toloraya, Giorgi Miruashvili ქმნიან და ავრცელებენ პრო–სახელისუფლებო და ანტი–ოპოზიციურ გზავნილებს.
- **პოლიტიკოსები** – ირაკლი კობახიძე, მიხეილ ყაველაშვილი, დიმიტრი სამხარაძე — მათი პოსტები აქტიურად გადაზიარებულია ანტიდასავლურ გვერდებზე.
- **პირადი პროფილები და არაიდენტიფიცირებული ავტორები** – ხშირად პოსტების ავტორები არიან რეალური პირები მოწესრიგებული „ფეისბუქ“ პროფილებით, თუმცა, უმეტეს შემთხვევაში მათ საჯაროდ არ აქვთ მითითებული სამსახური ან საქმიანობა. მათი პოსტის მოცულობა, ტემპი და შინაარსი ქმნის საფუძვლიან ეჭვს, რომ ისინი მიზანმიმართულად ეწევიან საინფორმაციო კამპანიას (მაგალითად, ბექა ჩხაიძე). საეჭვო/ტროლ–პროფილები: Elena-Lena Tepnadze, დარეჯან მეფარიშვილი და ტიტე ნატუტარი — ავლენენ კოორდინირებული ტროლური აქტივობის ნიშნებს, ძირითადად ავრცელებენ პროსახელისუფლებო და ანტი–ოპოზიციურ გზავნილებს.

ძირითადი გამავრცელებლები აზერბაიჯანულენოვან პოსტებში

აზერბაიჯანულენოვანი პოსტების შემთხვევაში შერჩეული საინფორმაციო გვერდი და ჯგუფი, აზერბაიჯანულენოვანი მედია საშუალებები (Aktual.ge, 24news.ge) წარმოადგენენ მთავარ გამავრცელებელს. ისინი ძირითადად ინფორმაციას ავრცელებენ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე: საპროტესტო აქციები, ხელისუფლებისა და ოპოზიციის განცხადებები, შიდა პოლიტიკური დინამიკა. ასევე დასავლეთის პოზიციებზე საქართველოსთან მიმართებით; საქართველოს ხელისუფლების პოზიციებზე; აზერბაიჯანთან ურთიერთობებსა და გლობალურ პოლიტიკაზე. ეს მედიები არიან ინფორმაციის მთავარი წყარო აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობისთვის, რომელებსაც ქართული ენის ბარიერი აქვთ და სწორედ ამ წყაროებით ეცნობიან საქართველოს შიდა და საგარეო პოლიტიკას. მათი მიზანია აზერბაიჯანულენოვანი აუდიტორიისთვის ინფორმაციის მიწოდება.

ძირითადი გამავრცელებლები სომხურენოვან პოსტებში

სომხურენოვანი პოსტების გასაანალიზებლად შერჩეულია ორი გვერდი: „ფარვანა ტვ“ და „ჯავახური დიასპორა რუსეთში“. „ფარვანა ტვ“ პოსტებს აქვეყნებს მისი საინფორმაციო გადაცემა „ანარეკლის“ სახელზე გახსნილ „ფეისბუქ“ გვერდზე, რომელსაც 13 ათასი გამომწერი ჰყავს. პოსტების დიდ ნაწილს ერთი ან ორი გაზიარება აქვთ, რამდენიმე პოსტს უფრო მეტი, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე. „ჯავახური დიასპორა რუსეთში“ არასამთავრობო ორგანიზაციის ფეისბუქ გვერდს 1.7 ათასი გამომწერი ჰყავს. პოსტების ძირითად ნაწილს რეაქცია არ აქვთ და დაახლოებით ათამდე გაზიარება აქვთ, ხშირად ორგანიზაციის ხელმძღვანელის, აღასი არაბიანის მიერ სხვადასხვა „ფეისბუქ“ ჯგუფში.

ანტიდასავლური რიტორიკის ბუნება

ამ თავში განხილულია ინფორმაციის მოწოდების ხერხები და ტექნიკები, რაც ზოგჯერ ინფორმაციას არაზუსტად ან არასრულად, კონკრეტული ემოციური დატვირთვით წარმოადგენს ან ინფორმაციის მიწოდებამდევე ქმნის განწყობას ინფორმაციის მისაღებად და ამით წინასწარ დაგეგმილ მიზანს ემსახურება. მოცემულ თავში გაანალიზებული ინფორმაციით მანიპულაციის ხერხები და მასშტაბი უმეტესად დაკვირვების ქვეშ მყოფ ყველა „ფეისბუქ“ გვერდსა და ჯგუფს მოიცავს, აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი პოსტების ანალიზი ცალკე ქვეთავებად გამოყოფილი აღარ არის.

პოსტების გაანალიზებისას ყურადღება ექცეოდა იმას, იყო თუ არა პოსტში წარმოდგენილი ყალბი ინფორმაცია. მოცემულ შეფასების გაკეთებისას მონიტორები აკვირდებოდნენ პოსტში გადმოცემულ ინფორმაციას, მითითებულ ინფორმაციის წყაროს, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და საჯარო წყაროებში ამოწმებდნენ ინფორმაციის სისწორეს. თუმცა, არ ატარებდნენ ისეთი ტიპის მოკვლევას, როგორსაც „ფაქტ–ჩეკერები“ ატარებენ. ყველა გვერდის/ჯგუფის შემთხვევაში გაანალიზებული პოსტების უმრავლესობაში (64%) ყალბი ინფორმაცია არ აღმოჩნდა. ასეთი მხოლოდ პოსტების 1%–ში დაფიქსირდა – ინფორმაცია, რომელიც სიმართლეს არ შეესაბამებოდა (იხ.

დიაგრამა 12). ასეთი პოსტების უმეტესობას უკვე ჰქონდა მონიშვნა „ფეისბუქის“ მიერ, რომ პოსტში წარმოდგენილია არასანდო ინფორმაცია. თუმცა, იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა პოსტს ასეთი მითითება არ ჰქონდა. ასეთი იყო, მაგალითად, პოსტი იმის შესახებ, რომ მაკრონს „ბევრი კოკაინი მოუვიდა და ცოლმა გამოსაფხიზლებლად შემოარტყა“, რაც ეყრდნობოდა უკვე უარყოფილ დეზინფორმაციას კოკაინის გამოყენების შესახებ (მაკრონის ხელსახოცი, რომლის გამოც პროპაგანდამ კოკაინის გამოყენება დააბრალა). ან, მაგალითად, ინფორმაცია იმის შესახებ, რომ აშშ–მ სალომე ზურაბიშვილის ევაკუაცია მოახდინა.

დიაგრამა 12: არის თუ არა პოსტში აშკარად ყალბი ინფორმაცია?



თუმცა, პოსტების დაახლოებით მესამედის შემთხვევაში მონიტორებს უჭირდათ, შეეფასებინათ, იყო თუ არა პოსტში აშკარად ყალბი ინფორმაცია. ხშირად ინფორმაცია სრულად ყალბი არ იყო და შეიცავდა სინამდვილის ელემენტებს, ან სულაც სიმართლეს, რომელსაც განსხვავებული ინტერპრეტაცია ჰქონდა გაკეთებული. პოსტებში გამოყენებული ძირითადი ტექნიკებია შემდეგი:

- **ნახევრად სიმართლე და ინფორმაცია კონტექსტის გარეშე**, როგორც, მაგალითად, პოსტი მოლდოვაში პრეზიდენტ სანდუს საწინააღმდეგო საპროტესტო აქციაზე. რეალური ვიდეო, რომელსაც აკლია კონტექსტი და არ არის აღნიშნული, რამდენად ფართომასშტაბიანია ეს პროტესტი, ვინ ითხოვს სანდუს გადადგომას. ინფორმაცია წარმოდგენილია, როგორც მოლდოვის მოსახლეობის საყოველთაო განწყობა.
- **კონტექსტით მანიპულაცია**, როდესაც რეალური კადრი და ინფორმაცია გადმოიცემა ისე, რომ კონტექსტი შეცვლილია. მაგალითად, საპროტესტო კადრების მხოლოდ ერთი მხარის ჩვენება – მომიტინგეების მხრიდან ძალადობის წარმოჩენა და პოლიციის ქმედებების იგნორირება.

- **განზოგადება**, როდესაც ნაჩვენებია ერთი ადამიანის ქმედება და მისი გავრცობა ხდება მთელ ჯგუფზე. მაგალითად, ნაჩვენებია პროტესტის ერთი მონაწილის გადაცდომა და გაჟღერებულია ნარატივი, რომ აქციის მონაწილეები კრიმინალები არიან.
- **ერთი ადამიანის მოსაზრება წარმოდგენილი, როგორც მტკიცე არგუმენტი ან ფაქტი**, მაგალითად, პოსტი ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წევრის ციტატით, რომელიც ადასტურებს, რომ „საქართველოს მთავრობაზე იყო ზეწოლა, ჩართულიყო რუსეთთან კონფრონტაციაში". პოსტი მოკლე ციტატითა და ამ ადამიანის ფოტოთი შემოიფარგლება, არ არის წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაცია და უცხოელის, ევროპელის პირით აჟღერებს „ქართული ოცნების" წარმომადგენლების რიტორიკას, როგორც უტყუარ დასაბუთებას, რეალურად კი ერთი ადამიანის მოსაზრებაა, ყოველგვარი არგუმენტის გარეშე.
- **მოვლენის სუბიექტური ინტერპრეტაცია** ყოველგვარი დასაბუთების ან ინფორმაციის წყაროს გარეშე, მაგალითად, პოსტი სალომე ზურაბიშვილის შეხვედრაზე მედიის წარმომადგენლებთან, რომლის თანახმადაც, „სალომე განაგრძობს პრეზიდენტობანას თამაშს და იმ მავნებლური პოლიტიკის გატარებას, რასაც პრეზიდენტობის დროს აკეთებდა." ეს მთლიანად პოსტის ავტორის სუბიექტური ინტერპრეტაციაა და არაფრით დასტურდება არც პოსტში და არც მითითებულ ბმულზე.
- **იარლიყების მიწებება** – კონკრეტულ პირებსა თუ ჯგუფებზე იარლიყების მიწებებით იქმნება ემოციური ჩარჩო, რომელიც ინფორმაციის გაცნობამდე აფერხებს მის ობიექტურ აღქმას. მაგალითად, პროტესტის მონაწილეების მისამართით ხშირად გამოყენებულია შემდეგი იარლიყები: „უღმერთოები", „ნაცები", ამორალურები", „დაგეგმილი ძალადობის შემსრულებლები". ეს მათ დემონიზაციას ახდენს და ამზადებს ნიადაგს მათ წინააღმდეგ განხორციელებული სადამსჯელო ზომების მიმღებლობისთვის.
- **სატირა და გაშარჟება** – მაგალითად, „მემე" სტილის ვიზუალური მასალა (მაგ., ჩონჩხის ფოტო, სიმპსონების სტილში გადაკეთებული ვიდეოები), რომელიც გამოიყენება პროტესტის ან კონკრეტული ლიდერების დისკრედიტაციისთვის. სატირის უკან ხშირად იმალება შეურაცხმყოფელი ან დამამცირებელი გზავნილები. მაგალითად, ელენე ხოშტარიას გამოსახვა რუსული სიმღერის ფონზე, შავი სათვალითა და სლოგანით ხელში. მარშების თემაზე ირონიული პოსტი, სადაც „ზარმაცების მარში" ვერ ტარდება, რადგან მათ დაეზარათ. ამ გზით ხდება სამოქალაქო აქტივიზმის აბსურდამდე დაყვანა.
- რაიმე სახის **მანიპულაცია**, როგორიცაა, მაგალითად, რეალურ ვიდეოზე თანდართული მუსიკა, რომელიც მთლიანად ცვლის ვიდეოს აღქმას, მაგალითად, ტრამპისა და ზელენსკის შეხვედრის ვიდეო, ვიდეო აშშ-ს ელჩზე საქართველოში, რომელშიც მას არაფხიზელ მდგომარეობაზეა მინიშნება, ან სულაც სრული ვიდეო მანიპულაცია, სადაც ვიდეო ფაბრიკაციაა წარმოდგენილი.

როგორც ყალბი ინფორმაციის შემცველი, ასევე არაყალბი, მაგრამ მანიპულაციური ან სუბიექტური მოსაზრების ფაქტად წარმომჩენი პოსტები უფრო ხშირად ქართულენოვანი ჯგუფებსა და გვერდებზე გვხვდება – საერთო პოსტების 40 პროცენტზე მეტი. სომხურენოვანი მოსახლეობისთვის გამიზნულ პოსტებში ყალბი ან მანიპულაციური პოსტების წილი ყველაზე მცირეა და 12%-ს არ აღემატება, აზერბაიჯანულენოვან პოსტებში აშკარად ყალბი ინფორმაციის

შემცველი ინფორმაცია არ გვხვდება, თუმცა, არის პოსტები, სადაც ინფორმაციის არასრულად წარმოდგენის გამო ზოგჯერ რთულია მისი სისწორის შეფასება. გარკვეულწილად ეს შერჩევის სპეციფიკიდანაც გამომდინარეობს, რადგანაც შერჩეული აზერბაიჯანულენოვანი ჯგუფი და გვერდი საინფორმაციო საშუალებას წარმოადგენს. ქართულ და სომხურენოვანი ჯგუფები და გვერდები კი შერჩეულია მათ შორის იმ კრიტერიუმით, რომ ანტიდასავლურ კონტენტს აზიარებენ.

ქართულენოვანი მოსახლეობისთვის განკუთვნილ გვერდებსა და ჯგუფებში ინფორმაცია უმეტესად გადმოცემულია მოკლე ტექსტებით ან კლიპებით, რაც ხელს უწყობს უფრო ფართო გავრცელებას და ნარატივის ეფექტურობას. ფორმატის მხრივ, პოსტები ძირითადად ორ ფორმატს იყენებს:

წერილობითი პოსტები – ხშირად მოკლე, ციტატებზე ან მტკიცებულებად გამოტანილ საკითხებზე აგებული პოსტებია, ძირითადად, ინტენსიური ვიზუალური დატვირთვის გარეშე. აქ, ძირითადად, მუშაობს ტექსტის სტრუქტურირება მკითხველზე ემოციური ზემოქმედების მიზნით (მაგ.: შეურაცხმყოფელი ენა, პასიური აგრესია, სატირა).

რეალური კადრები და ფოტოები – ხშირად ვიდეოკადრები ან ფოტოები მოპოვებულია უშუალოდ აქციებიდან ან მედიიდან და რეალური მოვლენებია ასახული. თუმცა, ისინი ან კონტექსტიდან ამოჭრილია, ან ახლავს ტენდენციური აღწერა, რაც მკითხველს აძლევს მზა ინტერპრეტაციას. აღსანიშნავია, რომ ხშირად ვიდეოების ხანგრძლივობა რამდენიმე წამია ან 2–3 წუთამდე გრძელდება და თან ერთვის მოკლე აღწერა. მათი ნახვა, წაკითხვა და აღქმა დიდ დროს არ მოითხოვს და მიზანიც ისაა, რომ რაც შეიძლება ბევრ ადამიანს მისწვდეს მოკლე დროში.

აზერბაიჯანულენოვანი პოსტები ინფორმაციულ სტილს ინარჩუნებს, რადგანაც შერჩეული ჯგუფი და გვერდი საინფორმაციო საშუალებას წარმოადგენს. ხშირად ქვეყნდება დასავლელი ლიდერების, ევროკავშირის, აშშ–სა და აზერბაიჯანის პრეზიდენტების, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებები კომენტარის გარეშე. რაც შეეხება პოსტების ნაწილს, რომელიც კვლევაში შეფასებულია არა, როგორც ყალბი, მაგრამ არასრული და გარკვეულწილად მანიპულაციური ინფორმაცია, ასეთია პოსტები, რომლებშიც გადმოცემულ ინფორმაციას არ ადასტურებს წყაროები, კონსპირაციული ნარატივები „დიფ სთეითის“ შესახებ, რაც მიზნად ისახავს დასავლეთის მიმართ უნდობლობის გაჩენას და იმ აზრის გამყარებას, რომ საქართველოს სუვერენიტეტს მხოლოდ „ქართული ოცნების“ ხელისუფლება იცავს.

სომხურენოვანი მოსახლეობისთვის განკუთვნილი, შერჩეული „ფეისბუქ“ გვერდებიდან საინფორმაციო საშუალება „ფარვანა ტვ“–ის გვერდზე პოსტებში ძირითადად ტექსტებია, მოკლე და ვრცელი ციტატები და თითქმის ყველა ეხება ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებებს. ასევე ქვეყნდება სომხურ ენაზე მომზადებული მოკლე ვიდეომასალები, მაგალითად ხელისუფლების წარმომადგენლების ვიზიტებისა და შეხვედრების შესახებ, რომლებსაც ასევე თან ახლავს ტექსტი. პოსტების ნაწილი შექმნილია რუსულად, ნაწილი კი სომხურად. ასეთი ფორმის პოსტები აუდიტორიისთვის უფრო მარტივად არის აღსაქმელი და პროპაგანდისტული გზავნილების გავრცელება მარტივადაა შესაძლებელი. ინფორმაციით მანიპულაციის ტექნიკებს რაც შეეხება, ხშირია მოვლენების ცალმხრივად წარმოჩენა და კონტექსტის სიმცირე.

„ჯავახური დიასპორა რუსეთში“ გვერდზე პოსტების ძირითადი ნაწილი ტექსტებით და ფოტოებით ქვეყნდება. პოსტები ძირითადად რუსულ ენაზეა შექმნილი, თუმცა, ხანდახან ზოგიერთი განცხადება ვრცელდება სომხურ და ქართულ ენებზეც. გვერდი აზიარებს ასევე სხვადასხვა რუსული საინფორმაციო სააგენტოს მასალებს, სადაც საუბარია საქართველოში განვითარებულ მოვლენებზე, კავკასიაზე, დასავლეთთან და რუსეთთან ურთიერთობებზე. გვერდი ასევე აქტიურად იყენებს ხელისუფლების წარმომადგენლების ღიად ანტიდასავლურ პოსტებს, „სქრინშოთებს“, მაგალითად, შალვა პაპუაშვილის რამდენიმე პოსტი ევროპელ პოლიტიკოსებზე, ფონდებზე და სხვა.

გვერდზე გვხვდება ისეთი პოსტები, რომლებსაც არ გააჩნია მტკიცებულებები. ამ ტექნიკის გამოყენებით გვერდი ცდილობს, გაავრცელოს სხვადასხვა ნარატივი, მანიპულაციურად გამოეხმაუროს საქართველოში განვითარებულ მოვლენებს, კონტექსტიდან ამოგლეჯილი ციტატებით ან მოვლენების ნაწილზე ყურადღების გამახვილებით შეცდომაში შეიყვანოს აუდიტორია. გვერდი ასევე ცდილობს, სხვადასხვა რუსული პროპაგანდისტული ნარატივის გამოყენებით, სკეპტიკური გრძნობები გააღვივოს საზოგადოებაში ევროპის მიმართ, მაგალითად, ერთ–ერთ პოსტში ნათქვამია, რომ საქართველო ევროპას არ სჭირდება, როგორც პარტნიორი, არამედ სჭირდება როგორც ვასალი, თუმცა, არ არის წარმოდგენილი, რაზე დაყრდნობით ავრცელებს ავტორი მსგავს მოსაზრებას.

დასკვნა

2024 წლის 29 ნოემბრიდან 2025 წლის 31 მაისამდე ანტიდასავლური შინაარსის გამავრცელებელ „ფეისბუქ“ გვერდებსა და ჯგუფებზე დაკვირვება აჩვენებს, რომ ანტიდასავლური პროპაგანდა საქართველოში მიზანმიმართულად მოქმედებს. პოსტების დინამიკა გარკვეულწილად დაკავშირებულია პოლიტიკური პროცესებსა და მიმდინარე მოვლენებთან – განსაკუთრებით იმ მოვლენებთან, რომლებიც ანტიდასავლური შინაარსის მთავარ მოქმედ პირებს (პროდასავლური პროტესტის მონაწილეებს, ოპოზიციას და მის კონკრეტულ წარმომადგენლებს, სალომე ზურაბიშვილს) უკავშირდება, ანდა ისეთ სახელმწიფო გადაწყვეტილებებს, რასაც შეიძლება, აუდიტორიისთვის გარკვეული წინასწარ განწყობის შექმნა ან მხარდაჭერის მოპოვება/შენარჩუნება სჭირდებოდეს (მაგალითად, საკანონმდებლო ცვლილებები, რაც გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას ან უცხოური დაფინანსების შეზღუდვას ეხება, პროტესტის მონაწილეებისა და ოპოზიციის წარმომადგენლების დაკავება).

„ფეისბუქის“ გვერდებსა და ჯგუფებზე დაკვირვების მთლიანი პერიოდის განმავლობაში პოსტების თემატური ფოკუსი ასევე საქართველოს შიდა პროცესებისა თუ მსოფლიოში მიმდინარე ამბების შესაბამისად იცვლება. თუკი ნოემბრის ბოლო დღეებსა და დეკემბერში მთავრი თემა პროევროპული საპროტესტო აქციები იყო, იანვარში ანტიდასავლური შინაარსი უფრო გლობალურ კონტექსტში ჩაჯდა, აშშ–ს და ტრამპის ადმინისტრაციას, ასევე, გლობალური ომის პარტიასა და „დიფ სთეითს“ დაუკავშირდა, გაზაფხულზე კი ყურადღება შიდა პოლიტიკასა და ოპოზიციის დისკრედიტაციაზე გამახვილდა.

მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში ძირითადი ანტიდასავლური ნარატივების შინაარსიც სწორედ პროტესტის მონაწილეებსა და ოპოზიციას ეხებოდა, მათ წარმოჩენას მოძალადეებად, კრიმინალებად, ამორალურებად და ავადმყოფებად. გარდა ამისა, მთავარ ნარატივებს შორის ერთ–ერთი ეხებოდა იმას, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას დასავლეთი აღიარებს და გარე აქტორების მიერ მას არაღიარების პრობლემა დღის წესრიგში არ უდგას.

აქედან გამომდინარე ყველაზე ხშირად ანტიდასავლური შინაარსის პოსტებში ფიგურირებენ სწორედ „ქართული ოცნების“ ხელისუფლება და პროევროპული პროტესტის მონაწილეები. ხელისუფლება წარმოდგენილია, როგორც ძლიერი, ქვეყნის ეროვნული ინტერესების დამცველი, ხოლო პროტესტის მონაწილეები, როგორც კრიმინალები, დესტრუქციული ბრბო ან უცხო გავლენის აგენტები. ხშირი დისკრედიტაციის სამიზნეები არიან, ასევე, ოპოზიცია, ევროკავშირი და სალომე ზურაბიშვილი. აშშ–ს პრეზიდენტ ტრამპის მიმართ დამოკიდებულებები განსხვავებულია დროის სხვადასხვა მონაკვეთში – მის ინაუგურაციამდე ჩანს დადებითი დამოკიდებულება და ერთგვარი მოლოდინი, შემდეგ მისი წარმოჩენა დასავლური ლიბერალიზმის ალტერნატივის ფლაგმანად.

ანტიდასავლური შინაარსის პოსტების ავტორები და გამავრცელებლები უმეტესად არიან პროსახელისუფლებო მედია საშუალებები: „პოს ტვ ანალიტიკა“, „იმედი“, „მარშალ პრესი“, „ინფო 9“, „ქართულ ოცნებასთან“ დაკავშირებული გვერდები/ჯგუფები, ანტიდასავლური და პროპაგანდისტული გვერდები, მაგალითად, „პოლიტიკოსები 1 ლარიდან“, „სირცხვილის კორიდორი“, „პოლიტიკური კომედია“, „არქივი“, ხშირად ამ გვერდების/ჯგუფები „ადმინები“, რომლებიც საკუთარი პოზიციებითაც ავრცელებენ ანტიდასავლურ გზავნილებს, კონსერვატიული პლატფორმები, მაგალითად, „ქართული იდეა“, „წმინდა მამები და მათი გამონათქვამები“, ჟურნალისტები და აქტივისტები, პოლიტიკოსები და ადამიანები პირადი პროფილებით, რომლებიც კოორდინირებულად ავრცელებენ პროსახელისუფლებო გზავნილებს.

რაც შეეხება საკუთრივ ანტიდასავლური პროპაგანდის ბუნებასა და გავრცელების ტექნიკებს, პოსტების ფორმატი ორნაირია – მოკლე ტექსტები, მოკლე ციტატები, ან მოკლე ვიდეოები; ხშირად არ ვხვდებით აშკარად ყალბ ინფორმაციას, თუმცა, ხშირია ინფორმაციის არასრულად მოწოდება, კონტექსტის იგნორირება, ინფორმაციის ემოციური შეფუთვა და ამით წინასწარ განწყობის ჩამოყალიბება. რაოდენობრივად, მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ შერჩეული „ფეისბუქ“ გვერდებისა და ჯგუფების გაანალიზებული პოსტების უმეტესობის შემთხვევაში (64%) აშკარად ყალბი ინფორმაცია არ გვხვდება. აშკარად ყალბი ინფორმაციის შემცველი ტიპის პოსტები იშვიათია (1%) და თითქმის ყოველთვის თან სდევს აღნიშვნა, რომ გადამოწმებულია მესამე მხარის მიერ და არ შეესაბამება სიმართლეს. თუმცა, პოსტების მესამედი წარმოდგენს ისეთ ინფორმაციას, რომელშიც გარკვეულწილად მანიპულაციურია. ასეთ პოსტებში გამოყენებულია ინფორმაციის მანიპულაციის შემდეგი ძირითადი ტექნიკები:

- **ნახევრად სიმართლე და კონტექსტის გარეშე ინფორმაცია** – რეალური ფაქტების ნაწილობრივი წარმოდგენა, რაც შეცდომაში შემყვანია.
- **კონტექსტით მანიპულაცია** – მოვლენების ცალმხრივი წარმოჩენა.
- **განზოგადება** – ინდივიდუალური ქმედების გავრცელება ჯგუფზე.
- **სუბიექტური ინტერპრეტაცია და მტკიცება** – ერთი ადამიანის მოსაზრების ფაქტად წარმოჩენა.
- **იარლიყების მიწებება** – ემოციური ჩარჩოების შექმნა.
- **სატირა და გაშარჟება** – დისკრედიტაციის ფორმები ვიზუალურ და ტექსტურ გზავნილებში.
- **აუდიო–ვიზუალური მანიპულაცია** – მუსიკის, ტექსტების ან ვიდეოს კორექტირების გზით აღქმის ცვლილება.

აზერბაიჯანულენოვან მოსახლეობაზე მიმართული „ფეისბუქ" კონტენტის შემთხვევაში, გასაანალიზებლად შესარჩევი „ფეისბუქ" გვერდისა და ჯგუფის ძებნის პროცესშიც გამოჩნდა, რომ ამ სეგმენტში ღიად ანტიდასავლური პლატფორმები პრაქტიკულად არ არსებობს. ამიტომაც დაკვირვება შედარებით პოპულარულ მედია საშუალებებზე მიმდინარეობდა, რომელიც ინფორმაციას უფრო მშრალად გადმოსცემდა, ანალიზისა და ინტერპრეტაციის გარეშე და წარმოდგენილი იყო როგორც პროდასავლური, ასევე ანტიდასავლური გზავნილები. ეს უკანასკნელი ხშირად „ქართული ოცნების" ხელისუფლების წარმომადგენლებისა და ილჰამ ალიევის განცხადებებიდან იკვეთებოდა. თემები მიჰყვებოდა საერთო ტენდენციას – პროევროპული პროტესტი, შიდა პოლიტიკა, პოლიტიკური პარტიები. თუმცა, დამატებით ყურადღება ექცეოდა საქართველო–აზერბაიჯანის ურთიერთობებს, „ქართული ოცნების" ხელისუფლების მიმართ დასავლეთის სანქციებსა და არჩევნებს.

პოსტებში ნახსენები აქტორების მხრივ, სურათი საერთო ტენდენციის მსგავსია, თუმცა, უფრო ხშირია რუსეთის ხსენება. აქტორების წარმოჩენის ტონი მეტად დაბალანსებულია, ვიდრე ქართულენოვან სეგმენტში. საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები (ირაკლი კობახიძე, შალვა პაპუაშვილი) პოზიციონირებენ, როგორც მმართველი ძალა, რომელიც აკრიტიკებს ოპოზიციას და ევროკავშირს. პროევროპული აქტივისტები ქვემო ქართლიდან ნეიტრალური ტონით არიან ნაჩვენები. ხოლო აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი პოზიტიურადაა ნახსენები, როგორც საქართველოს ხელისუფლების მხარდამჭერი და რეგიონული სტაბილურობის მომხრე.

პოსტების ავტორები და გამავრცელებლები უმეტესად იგივე მედია საშუალებები არიან, რომელთა გვერდსა და ჯგუფსაც ვაკვირდებოდით. აზერბაიჯანულენოვან პოსტებში შეიმჩნევა უფრო საინფორმაციო სტილი, ძირითადად განცხადებების ან ციტატების გამოქვეყნებით, კომენტარის გარეშე. რაც შეეხება პოსტების ნაწილს, რომელიც კვლევაში შეფასებულია არა, როგორც ყალბი, მაგრამ არასრული და გარკვეულწილად მანიპულაციური ინფორმაცია, ასეთია პოსტები, რომლებშიც გადმოცემულ ინფორმაციას არ ადასტურებს წყაროები, კონსპირაციული ნარატივები „დიფ სთეითის" შესახებ, რაც მიზნად ისახავს დასავლეთის მიმართ უნდობლობის გაჩენას და იმ აზრის გამყარებას, რომ საქართველოს სუვერენიტეტს მხოლოდ „ქართული ოცნების" ხელისუფლება იცავს.

რაც შეეხება **სომხურენოვან** მოსახლეობაზე მიმართულ გვერდებს, აქ შერჩეული იყო მედია საშუალება „ფარვანა ტვ“–ის ერთ–ერთი გვერდი „ანარეკლი“ და გვერდი „ჯავახური დიასპორა რუსეთში“, რომელთაგან „ფარვანა ტვ“ მმართველი პარტიის გზავნილებს ავრცელებს, ხოლო „ჯავახური დიასპორა რუსეთში“ რუსულ პროპაგანდას ემსახურება. მათ მასალებში დასავლეთი ნაჩვენებია, როგორც დესტაბილიზაციის წყარო, რომელიც ცდილობს საქართველოს ომში ჩართვას, ხოლო პროტესტის ლიდერები – როგორც უცხოეთის აგენტები.

ამავე დროს, მმართველი პარტია და ხელისუფლება წარმოდგენილია როგორც სტაბილურობის გარანტი, სუვერენიტეტის დამცველი და წარმატებული საერთაშორისო კონტაქტების მქონე ძალა. პოზიტიურადაა წარმოჩენილი რუსეთთან თანამშრომლობა, აღმოსავლეთთან ურთიერთობების გაღრმავება და ისეთი ფიგურები, როგორებიც არიან მიხეილ ყაველაშვილი და დონალდ ტრამპი, რომლებიც თითქოს დასავლური ორმაგი სტანდარტების წინააღმდეგ იბრძვიან.

უკრაინის ომი განმარტებულია როგორც ნატოს გაფართოების შედეგი, ხოლო რუსეთი – მშვიდობისკენ მიდრეკილი აქტორი. დასავლეთი აღწერილია, როგორც საქართველოს სუვერენიტეტის დამხობისა და შიდა პროცესებზე გავლენის მოსახდენად ფინანსური ბერკეტების გამოყენების მსურველი, მაშინ როცა რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა პოზიტიურად არის ნაჩვენები. საერთო ჯამში, ეს წყაროები აქცენტს აკეთებენ ხელისუფლების სიმტკიცესა და დასავლური ზეწოლის უსამართლობაზე, ამასთანავე ასუსტებენ ოპოზიციას და წარმოაჩენენ მას, როგორც „გარე ძალების“ მორჩილს.

შესაბამისად, აზერბაიჯანულენოვანი სეგმენტის მსგავსად, სომხურენოვან გვერდებზეც ყველაზე ხშირად იგივე აქტორები გვხვდებიან, რაც ქართულენოვან სეგმენტში, თუმცა, აქაც უფრო ხშირია რუსეთის ხსენება და ასევე უკრაინის. „ჯავახური დიასპორა რუსეთში“ განსაკუთრებით სალომე ზურაბიშვილის დისკრედიტაციას ეწევა და ამავდროულად პოზიტიურად წარმოაჩენს რუსეთს, როგორც საქართველოს ისტორიულ მეგობარსა და სასურველ პარტნიორს.

პოსტების ავტორები და გამავრცელებლები იყვნენ თავად შერჩეული გვერდები ან მათი ადმინები. რაც შეეხება ინფორმაციის გავრცელების ტექნიკებს, აშკარად ყალბი ინფორმაცია თითქმის არ გვხვდება, თუმცა, ხშირია მოვლენების ცალმხრივად წარმოჩენა და კონტექსტის სიმცირე. სომხურენოვან გვერდებზე კი, განსაკუთრებით „ფარვანა ტვ“–ზე, ძირითადად მოკლე ტექსტები, ციტატები და ვიდეომასალებია, რომელთა ძირითადი მიზანია ხელისუფლების პოზიციების გამყარება და ანტიდასავლური ნარატივების გაძლიერება.

დანართი 1: მეთოდოლოგია

შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტის „ანტიდემოკრატიული პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლა ჩართულობის გზით“ ფარგლებში, სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ ანტიდასავლური ნარატივების შესასწავლად ავირჩიეთ ერთწლიანი პერიოდი 2024 წლის 28 ნოემბრის შემდეგ, როცა პრემიერმინისტრმა საქართველოს ევროინტეგრაციის შეჩერების შესახებ განაცხადა და მასობრივი პროდასავლური პროტესტიც დაიწყო.

ანტიდასავლური ნარატივების შესასწავლად შევარჩიეთ 16 საჯარო გვერდი/ჯგუფი, რომელიც ანტიდასავლური და საქართველოს ევროინტეგრაციის საწინააღმდეგო რიტორიკით გამოირჩევა და მაღალი პოპულარობით სარგებლობს (ბევრი მიმდევარი/წევრი ჰყავს). ამ 16 გვერდიდან/ჯგუფიდან 12 ქართულენოვანი გვერდი/ჯგუფია. ამ 12–დან ორია ფოკუსირებული კონკრეტულად აჭარის რეგიონზე. გარდა ამისა, ვაკვირდებით 2–2 სომხურ და აზერბაიჯანულენოვან გვერდს/ჯგუფს, რომელიც საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისთვისაა გამიზნული და უმეტესად ისინი მოიხმარენ. ამ გვერდებისა თუ ჯგუფების შესარჩევად გამოვიყენეთ საქართველოში ანტიდასავლური პროპაგანდისა და დეზინფორმაციის შემსწავლელი ორგანიზაციების ანგარიშები, CRRC–საქართველოს სოც. მედიის შემსწავლელი ანგარიში. ასევე, ჩვენ მიერ შედგენილი პირველადი სია გავუზიარეთ და რჩევები მივიღეთ იმ ორგანიზაციებისგან, ვინც დღემდე მუშაობს დეზინფორმაციის იდენტიფიკაციასა და ანტიდასავლური პროპაგანდის შესწავლაზე. შერჩეული ჯგუფები/გვერდები მოიცავს „ქართული ოცნების“ ღიად მხარდამჭერ, ანონიმურად/არაპირდაპირ მხარდამჭერ ჯგუფებს/გვერდებს, მეინსტრიმ და არამეინსტრიმ მედია საშუალებებს, მათ შორის ადგილობრივ საინფორმაციო გვერდებსა და ულტრამემარჯვენე გვერდს. საინტერესოა, რომ აზერბაიჯანულენოვან სეგმენტში შერჩეული გვერდები არ არის განსაკუთრებულად ანტიდასავლური შინაარსის, რადგან ასეთი ვერ მოვიძიეთ. იგივე ეხება აჭარის რეგიონში შერჩეულ გვერდს. ესენი უფრო ადგილობრივ მედია საშუალებებს წარმოადგენენ.

შერჩეულ გვერდებზე/ჯგუფებში პოსტების შერჩევა რამდენიმე მიდგომით კეთდება. ქართულენოვანი გვერდების/ჯგუფების შემთხვევაში თითოეული გვერდიდან/ჯგუფიდან შეირჩევა უმეტესად მარტივი შემთხვევითი წესით მოხდა. გარდა ამისა, თითოეული ჯგუფისთვის/გვერდისთვის შერჩევაში მოხვდა 10 ყველაზე პოპულარული პოსტი.

მონიტორინგის პერიოდში 16 შერჩეული გვერდის/ჯგუფის სია ერთხელ შეიცვალა და ორი გვერდი ჩანაცვლდა სხვა მსგავსი შინაარსის გვერდებით, რადგან ერთი მათგანი დაიბლოკა თავად მეტას მიერ, ხოლო მეორემ შეწყვიტა პოსტების აქტიური გამოქვეყნება „ფეისბუქზე“. ქვემოთ მოცემულია მონიტორინგისთვის შერჩეული გვერდების/ჯგუფების ჩამონათვალი:

№	ენა	ჯგუფი / გვერდი	ჯგუფის სახელი	მიმდევრების რაოდენობა
1	ქართული	გვერდი	ლიდერი 41	42,000
2	ქართული	გვერდი	ანტი–მაიდანი[6]	6,600
	ქართული	გვერდი	არ აგარევინებთ	20,000
3	ქართული	ჯგუფი	ბიძინა ივანიშვილი და მომავალი თაობა№oficial	20,100
4	ქართული	გვერდი	სირცხვილის კორიდორი[7]	56,000
	ქართული	გვერდი	შიგ ევროპაში	7,500
5	ქართული	გვერდი	Gogaggg	602,000
6	ქართული	გვერდი	პოლიტიკოსები 1 ლარიდან	26,000
7	ქართული	ჯგუფი	წმინდა მამები და მათი გამონათქვამები	36,000
8	ქართული	გვერდი	პატრიოტული გვერდი	46,000
9	ქართული	გვერდი	POSTV – ანალიტიკა	274,000
10	ქართული	გვერდი	News.mcvane.ge	152,000
11	სომხური	გვერდი	ფარვანა ტვ „ანარეკლი“	12,000
12	სომხური / რუსული	გვერდი	Джавахкская диаспора России	1,700
13	აჭარა	ჯგუფი	ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერი ჯგუფი აჭარაში	2,000
16	აჭარა	გვერდი	გაზეთი აჭარა	5,800
14	აზერბაიჯანული	ჯგუფი	24News.ge	16,800
15	აზერბაიჯანული	გვერდი	Aktual.ge	34,000

პოსტების პირველადი გაფილტვრის შედეგად მათი ნაწილი სიღრმისეული შესწავლის საგანი ხდება. პოსტები კვლევისთვის რელევანტურად ითვლება თუკი:

- რაიმე სახით აჟღერებს ან ეხება ანტი–დასავლურ დისკურსს – აზიანებს / ეჭვქვეშ აყენებს / უარყოფითად წარმოაჩენს / აკრიტიკებს საქართველოს ევროინტეგრაციას, თავს ესხმის ევროინტეგრაციის მხარდამჭერ აქტორებს/პოლიტიკოსებს და მხარს უჭერს ევროინტეგრაციის მოწინააღმდეგე აქტორებს/პოლიტიკოსებს;
- ეხება ევროპას, აშშ–ს, დასავლეთს ან მათ წარმომადგენლებს;
- რაიმე სახით აჟღერებს პრო–რუსულ დისკურსს;
- ეხება პროდასავლურ/ანტირუსულ პროტესტს.

2024 წლის 29 ნოემბრიდან 2025 წლის 31 მაისამდე სიღრმისეულად გაანალიზდა 2,261 პოსტი.

შეზღუდვები

ამ კვლევას არ აქვს პრეტენზია იმაზე, რომ შეისწავლის სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ მოქმედ ყველა ანტიდასავლური ჯგუფის/გვერდის შინაარსს. თუმცა, კვლევა აჩვენებს ძირითად სურათს. „ფეისბუქში“ პოსტები დინამიურია, რაც ნიშნავს იმას, რომ შესაძლოა, პოსტის ტექსტი დარედაქტირდეს თავად ავტორის მიერ, ან დაიბლოკოს/შეიზღუდოს მეტას მიერ და გარკვეული პერიოდის შემდეგ ხელმისაწვდომი აღარ იყოს.

[6] 2025 წლის 22 თებერვლის შემდეგ გვერდი „ანტი–მაიდანი“ ჩანაცვლდა გვერდით „არ აგარევინებთ“, რადგანაც „ანტი–მაიდანი“ დაიბლოკა მეტას მიერ.

[7] 2025 წლის 22 თებერვლის შემდეგ გვერდი „სირცხვილის კორიდორი“ ჩანაცვლდა გვერდით „შიგ ევროპაში“, რადგანაც „სირცხვილის კორიდორმა“ შეწყვიტა აქტივობა.